# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ფურ-ცლის გავსება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 21 თებერვალი. 2017 წ. №40 (8177), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

# თავს რატომ იტყუებთ, ხალხო!

## ნუთუ ვერ ხედავთ, რომ სააკაშვილის კუდი, სისხლხორცეულად ნაციონალი გვარამია თავის გაფუფუნებულ დირექტორობას იცავს თავისუფალ სიტყვას ამოფარებული!

### პრემიერ-მინისტრი:

## რატომ გათიშეთ, რას აპროტესტებთ?!

**„რატომ გათიშეთ, რას აპროტესტებთ, ვინ დაგძაბათ, არავის დაუძაბიხართ“,** — ასე უპასუხა ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტის კითხვას პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრი მიუნხენში უსაფრთხოების კონფერენციაზე იმყოფებოდა.

③






## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სამშობლოში დაბრუნდა

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II გუშინ უკვე საქართველოში დაბრუნდა.

უწმინდესს აეროპორტში მრევლი და სასულიერო პირები დახვდნენ.

პატრიარქი გერმანიაში სამკურნალოდ დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში იმყოფებოდა. მას ერთ-ერთ კლინიკაში ნაღვლის ბუშტზე ლაპარასკოპიული მეთოდით ოპერაცია 13 თებერვალს ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

აეროპორტში პატრიარქმა მადლობა გადაუხადა გერმანელ ხალხს დიდი ყურადღებისა და ექიმების გამორჩეული პროფესიონალიზმისთვის, ორიოდე სიტყვით განმარტა აგრეთვე საპატრიარქოს გარშემო შექმნილი არაჯანსაღი მდგომარეობა და პირობა მისცა მრევლს, ჟურნალისტებს, მთელ საზოგადოებას, რომ ქვეყნის ხელისუფლებასთან ერთად ყველაფერს ბოლომდე გაარკვევს...

პატრიარქი დარწმუნებულია, რომ ყველაფერი კარგად იქნება და ქართული ეკლესიის ავტორიტეტს ვერავინ შებღალავს.

### თბილისი, სოხუმი(?), ცხინვალი(?)

## – ევროინტეგრაცია: მითები, ვალდებულებები და სინამდვილე

⑤

### მწერალი და დრო

## ფარული ნაცრისფერი ტრაგიკულობა

ოთარ ჩხეიძის „კვერნაქის“ ერთი ასპექტი

⑥






### ლევან აბაშიძე:

## რაზე მიუთითებს შეუთანხმებლობა საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის?

⑨

## გია გვიჩიანი: ჩემი დაკავება უკავშირდება სააკაშვილის რეჟიმს და გირგვლიანის საქმეს

**ამის შესახებ სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებულების შემდეგ გია გვიჩიანმა ჟურნალისტებთან განაცხადა. მისი თქმით, მოგვიანებით დეტალებზეც ისაუბრეს.**

**„მე მოგვიანებით ყველაფერზე ვისაუბრებ, თუმცა ერთი რამ ცხადია, ჩემი დაკავება უკავშირდება ჩემს საქმიანობას ენერგეტიკის სექტორში, სააკაშვილის რეჟიმს და გირგვლიანის საქმეს. მე სასამართლოში ვცადე, ამ საქმეზე რეალობა მეთქვა. თავიდანვე დავით კეკუამ არასწორად წაიყვანა გამოძიება, კეკუა გარდაცვლილია. მე უმაღლესი თანამდებობის პირების დავალებით დამაკავეს,“** — განაცხადა გვიჩიანმა და იუსტიციის მინისტრსა და მთავარ პროკურორს მადლობა გადაუხადა.

## რაგბი ჩვენი თამაშია!

## კვირიკაშვილის მე-100 კეპი და...



⑩

## „ბორჯღალოსანთა“ განაპარდება რუსთავში



# ინყება თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი

**მთავრობის დადგენილებით, საქართველოში თანამდებობის პირთა მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი იწყება. როგორც მთავრობის 14 თებერვლის დადგენილებაშია აღნიშნული, მონიტორინგის მიზანი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მის მიერ დეკლარირებული მონაცემების სისრულისა და სისწორის შემოწმება, ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა და პრევენციაა.**

რაც შეეხება დეკლარაციების შერჩევას, ეს პროცესი რამდენიმე პრინციპით წარიმართება: შემთხვევითი შერჩევა, დასაბუთებული წერილობითი განცხადება და ა.შ. ეს ნიშნავს, რომ ყველა დეკლარაცია არ შემოწმდება. ამიტომ, ცხადია, საინტერესოა ის მექანიზმი, რამაც უნდა უზრუნველყოს ობიექტური შერჩევა.

ხელისუფლების ვერსია ასეთია: **დეკლარაციას შეარჩევს და შეამოწმებს ხუთი კაცისაგან შემდგარი სპეციალური კომისია, რომელსაც ყოველწლიურად, არა უგვიანეს 15 დეკემბრისა, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი შექმნის.**

კომისია დაკომპლექტდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისგან. კერძოდ, მის შემადგენლობაში შევა არასამთავრობო ორგანიზაციის სამი და აკადემიური წრეების ორი წარმომადგენელი. **კომისიის შემადგენლობაში ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია მხოლოდ ერთი წევრით უნდა იყოს წარმოდგენილი, თითოეული წევრის კი მაქსიმუმ ორჯერ უნდა აირჩეს. აღსანიშნავია, რომ კომისიის წევრობა, ამ საქმიანობაში მისი მონაწილეობა ანაზღაურებადი სამუშაო არ იქნება.**

დადგენილების თანახმად, შერჩეული დეკლარაციების რაოდენობა თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5 %-ს არ უნდა აღემატებოდეს, საიდანაც 1/2 შეირჩევა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა დეკლარაციებიდან, ხოლო 1/2 — განსაკუთრებული ფაქტორების გათვალისწინებით — როგორიცაა, მაგალითად, განსაკუთრებული კორუფციული რისკი, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და განხორციელებული მონიტორინგით გამოვლენილი დარღვევები. **მონიტორინგს მხოლოდ იმ პირის დეკლარაცია დაექვემდებარება, რომელიც შერჩევის მომენტისთვისაა თანამდებობის პირი ან მისი გათავისუფლების მომენტიდან ერთ წელზე მეტი არ არის გასული.**

კომისია ვალდებულია თავის მიერ შესრულებული სამუშაოს ანგარიში, რომელიც ბიუროს ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს, ყოველი წლის 15 იანვრამდე მოამზადოს.

რა მოხდება, თუ დეკლარაციაში აღმოჩნდა შეუსაბამობები ან დამალული ქონება? დადგენილების თანახმად, დეკლარაციის მონიტორინგის შესახებ მის დაწყებამდე ხუთი დღის განმავლობაში თავად თანამდებობის პირსაც ეცნობება. **დეკლარაციაში დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.**

ამასთან, პირის ქმედებაში დანაშაულის სავარაუდო ნიშნების არსებობის შემთხვევაში, თუ გამოვლენილი უზუსტობა ტექნიკური ან გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომით არ არის გამოწვეული, ბიურო ვალდებულია შესაბამისი დეკლარაცია და წარმოების მასალები რეაგირებისათვის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს გადაუგზავნოს.

**მთავრობის დადგენილება 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა,** თუმცა გარდამავალი 2017 წლისათვის მონიტორინგი მხოლოდ დასაბუთებული წერილობითი განცხადებითა და ელექტრონული სისტემის მიერ შემთხვევით შერჩეულ დეკლარაციებს შეეხება.

**ნინო გელაშვილი**

# ნაცისტი და მეოცნებე მილიონერები

მონიტორინგის ცენტრი ,,მედიატორი" და პარტია ,,ახალი საქართველო" ერთობლივი კვლევის შედეგებს აქვეყნებენ, სადაც საუბარია ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების ქონებაზე. კვლევის თანხმად, მინისტრები, საპარლამენტო უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენლები მილიონობით ლარის დეკლარირებულ ქონებას ფლობენ. დოკუმენტში ნათქვამია ასევე, რომ მმართველი პარტიის 115 დეპუტატიდან 36 მილიონერია.

„ქართული ოცნების" წევრი დეპუტატების 36-კაციანი სია, რომელთა უძრავ-მოძრავი ქონება 1 მილიონ ლარს აჭარბებს, ასე გამოიყურება:

**შოთა შალელაშვილი (34.907.760), იოსებ მაკრახიძე (12.733.919), ბექა ოდიშარია (12.414.270), ლევან კობიაშვილი (9.829.530), კობა ნარჩემაშვილი (7.672.000), ელგუჯა გოცირიძე (6.057.100), ივლიანე წულაია (5.940.000), კახაბერ ოქრიაშვილი (5.940.000), გოჩა ენუქიძე (5.181.800) მახირ დარზიევი (4.771.600), დავით ჭიჭინაძე (4.248.800), თამაზ ნავერიანი (3.982.500), პაატა კვიჟინაძე (3.696.300), რევაზ არველაძე (3.560.916), გრიგოლ მიქელაძე (3.175.940), გოდერძი ჩანქსელიანი (2.835.000), ზაქარია ქუცნაშვილი (2.762.100), ლერი ხაბელოვი (2.543.750), ირაკლი კოვზანაძე (2.491.190), სიმონ ნოზაძე (2.443.500), ვიქტორ ჯაფარიძე (2.296.700), ირაკლი ხახუბია (2.183.100), ისკო დასენი (2.150.060), ნინო წილოსანი (2.074.207), კობა კობალაძე (1.949.400), დავით სონღულაშვილი (1.922.400), მერაბ ქვარაია (1.903.716), გიორგი კახიანი (1.855.116), ლევან კობერიძე (1709900), გელა სამხარაული (1.550.680), ირაკლი აბუსერიძე (1.400.000), ოთარ დანელია (1.359.450), ზაზა ხუციშვილი (1.325.160), სამველ მანუკიანი (1.270.150), აკაკი ზოიძე (1.100.203) და გიორგი ბეგაძე (1.024.920**

კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ პრობლემას წარმოადგენს ოფიციალური პირების მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენება და საკუთარი ბიზნესინტერესების ლობირება. კვლევის თანახმად, ხშირია ქონებრივ დეკლარაციაში მცდარი ინფორმაციის მითითების ფაქტები.

კვლევიდან ირკვევა, რომ ოპოზიციონერ მილიონერებს შორის პირველ ადგილს ნატო ჩხეიძე იკავებს, რომლის დეკლარირებული ქონება 50 მლნ ლარს აჭარბებს. მილიონერებს შორის არიან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრი კობა ნაყოფია, აგრეთვე ფრაქცია „ევროპული საქართველოს" წევრები — სერგო რატიანი და აკაკი ბობოხიძე. ასევე დამოუკიდებელი დეპუტატი სალომე ზურაბიშვილი.

**„საინტერესოა, რომ უმრავლესობის დეპუტატების გარდა, დიდი ალბათობით, ოპოზიციური პარტიის წევრებიც მალავენ უძრავ-მოძრავ ქონებას. სავარაუდო ეჭვი არსებობს რამაზ ნიკოლაიშვილზე, დავით ბაქრაძეზე, გიგა ბოკერიასა და კიდევ რამდენიმე დეპუტატზე, რომლებსაც ქონებრივ დეკლარაციაში ბევრი არაფერი აქვთ მითითებული, არადა, მაგალითად, რამაზ ნიკოლაიშვილის ბიზნესსაქმიანობაზე ბევრია ცნობილი. ასევე, თუ გიგა ბოკერიას დეკლარაციას დავუჯერებთ, მას და მის მეუღლეს ბინა არა აქვთ და მხოლოდ ერთ ავტომობილს ფლობენ. კანონის შესაბამისად, თუ ისინი ქირით ცხოვრობენ, ეს დეკლარაციაში მითითებული უნდა იყოს (ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულება და გასავალი)",** — განაცხადა „მედიატორის" წევრმა სოფო მუზაშვილმა.

# ეკა ბესელია: ხელისუფლება არ აპირებს შეზღუდოს სიტყვის თავისუფლება

სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2"-ის მიერ კვირას მოწყობილ მხარდამჭერ აქციას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები გაეხმაურნენ.

**„ხელისუფლება არ აპირებს და არავის აზრად არ მოსვლია, შეზღუდოს სიტყვის თავისუფლება. მესაკუთრეთა შორის დავა, სასამართლოში როგორც არ უნდა გადაწყდეს, ეს არანაირ კავშირში არ არის არც ამ ტელევიზიის მაუწყებლობის შეჩერებასთან და არც ამ ტელევიზიის გამოხატვის თუ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვასთან. აბსოლუტურად არ არის ეს ერთმანეთთან კავშირში და მე მგონი, რომ ეს სპეკულაციები უნდა დასრულდეს,"** — განაცხადა ეკა ბესელიამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრების განცხადებით, ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია მედიისა და სიტყვის თავისუფლება, რაც მათი შეფასებით, კვირას გამართულმა აქციამაც დაადასტურა.


# მორიგი სიახლე მაგთის IP ტელევიზიის შესახებ

მაგთიკომი
MAGTICOM

**20 თებერვლიდან მაგთიკომი IP ტელევიზიის მომხმარებლებს ორ სიახლეს სთავაზობს:**

**ახალ მიმღებ მოწყობილობას (set top box) გამარტივებული ინტერფეისით და განახლებულ კონტენტს — 250-მდე რეიტინგულ არხს**

მაგთიკომმა IP ტელევიზიის შეთავაზება 2016 წლის აგვისტოდან დაიწყო, სამომავლო გეგმები დააანონსა და დასახული მიზნების განხორციელებას შეუდგა. მთავარი პრიორიტეტი IP ტელევიზიის მომხმარებლების ინტერესების შესწავლა და მათი დაკმაყოფილება იყო.

მაგთიკომმა მთლიანად შეცვალა IP ტელევიზიის პლატფორმა და მომხმარებლებს უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მოწყობილობები - სეტ-ტოპ ბოქსები შესთავაზა.

2017 წლის 20 თებერვლიდან კი მიმღები მოწყობილობების ინტერფეისი მაქსიმალურად მიუახლოვა მომხმარებლების მოთხოვნებს.

20 თებერვლიდან მაგთის IP ტელევიზიის მართვის მენიუს სრულიად ახალი იერსახე მიეცა.

ძიების, გადართვის, გადახვევის და დაპაუზების ფუნქციების გამოყენება გაცილებით მარტივი, მოქნილი და მოსახერხებელი გახდა.

„ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, ისე გაგვემარტივებინა ინტერფეისი, რომ მომხმარებელს ზედმეტი ძალისხმევა არ დასჭირვებოდა და არც დრო დაეკარგა ახალთან შესაგუებლად. ეს მიზანი მიღწეულია. უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მიმღები მოწყობილობის ინტერფეისი 20 თებერვლიდან ახლებური იერსახით არის წარმოდგენილი.

მიმღები მოწყობილობა მარტივი ვიზუალის გარდა, მოსახერხებელი ფუნქციონალითაც გამოირჩევა. გამარტივებული ნავიგაცია, გადართვის მკვეთრად გაზრდილი სიჩქარე, გადახვევის მნიშვნელოვნად გაზრდილი ვადები - ეს არასრული ჩამონათვალია იმისა, რაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და გამარტივდა", - აცხადებენ მაგთიკომში.

<u>განახლებული კონტენტი - 250-მდე რეიტინგული არხი</u>

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა კონტენტის მხრივაც.

მაგთიკომმა შეარჩია როგორც ქართული, ისე უცხოური მაღალრეიტინგული კინო, სპორტული, შემეცნებითი, საინფორმაციო, საბავშვო, გასართობი თუ სხვა თემატიკის არხები.

20 თებერვლიდან მაგთის IP ტელევიზია მომხმარებლებს 51 ახალ, რეიტინგულ არხს სთავაზობს და ჯამში მათ 250-მდე არხის მიღების შესაძლებლობა ექნებათ.

„ინტერფეისის დახვეწას და არხების რაოდენობის ზრდას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ამიტომ ამ პროცესზე მუშაობა მუდმივად გრძელდება", – აცხადებენ მაგთიკომში.

<u>WiFi როუტერი</u>

კიდევ ერთი სიახლე - ინტერნეტისა და IP ტელევიზიის ჩართვისას მაგთიკომი მომხმარებლებს უფასოდ სთავაზობს WiFi როუტერს, რაც სახლში ინტერნეტსიგნალის გავრცელებას უზრუნველყოფს.



გვარამიას —  — ვარამი

დონალდ ტრამპი:

შემოლაწუნება ამერიკიდან



**ჩვენი პრესა ძალიან პოლიტიზებულია. ის მავანთა დაკვეთებს ასრულებს და ისეთ ცილისწამებებს ავრცელებს, რომ ხალხმა ჟურნალისტები შეიძულა!**

# თავს რატომ იტყუებთ, ხალხო!

## ნუთუ ვერ ხედავთ, რომ სააკაშვილის კუდი, სისხლხორცეულად ნაციონალი გვარამია თავის გაფუფუნებულ დირექტორობას იცავს თავისუფალ სიტყვას ამოფარებული!

რასაკვირველია, კარგია, როცა ხალხს სამართლის დასაცავად დაძახილზე გაერთიანება და ერთ მუშტად შეკვრა შეუძლია. მაგრამ ეს მხოლოდ სამართლისა და სამართლიანობის დასაცავად დაძახილზე. თქვე კარგო ადამიანებო, განა აგრერიგად ძნელი მისახვედრი იყო, რომ რუსთაველთა სახელით გვარამიას მიერ მოკვარახჭინებული 19 თებერვლის აქცია აშკარად უსამართლობას, თანაც კარგა გვარიანად დიდ უსამართლობას, ეძღვნებოდა?!

ნუთუ ასე მალე გადაგვვარდათ გულიდან, ნუთუ ასე ერთბაშად იგულმავიწყეთ ის ცხრაწლიანი ჯოჯოხეთი, რომლის უშუალო მომსწრენიც ყოველივე ქართულის მოძულე ნაციონალებმა გაგვხადეს.

ყველაზე მეტად იმ ჯოჯოხეთის პირობებში ადამიანი და სამართალი იყო გაუფასურებული. უსამართლობას ისე არასოდეს უზეიმია საქართველოში, როგორც იმ წლებში. ამ აღმაშფოთებელი უსამართლობის ერთ-ერთი მაგალითია, თუნდაც თითქმის ოცდაათი რედაქციის ქუჩაში გამოყრა გამომცემლობა „სამშობლოს" შენობიდან. მაგრამ დღეს სიმართლისთვის ვითომ თავგადაკლულ „რუსთავი-2"-ს მაშინ კრინტი არ დაუძრავს. კრინტი არ დაუძრავს არც იმ უამრავი უკანონობისთვის, რასაც ყოველდღე სჩადიოდნენ თავზე ხელაღებული ნაციონალები, როცა ადამიანებს ბიზნესს, საკუთრებას, ღირსებასართმევდნენ და მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოების დაშინების მიზნით უდანაშაულო ადამიანებით ავსებდნენ ახალაშენებულ ციხეებს, რომლებიც დაკონსერვებული ქაშაყის კასრებს დაამსგავსეს.

ნუთუ უფროსი თაობის ადამიანთაგან ვინმეს აღარ ახსოვს, რა საშინელ როლს ასრულებდა მთელ ამ უბედურებაში უშუალოდ ადამიანობასთან მწყრალად მყოფი სააკაშვილისგან გადიდკაცებული ეს ამჟამინდელი პოლიტიკური ტაკიმასხარა ნიკა გვარამია, რომელიც ისევ და ისევ სააკაშვილის სამსახურშია და არანაირ ბინძურ ხერხზე არ ამბობს უარს და მთელ ამ სიბინძურეში არაერთ სამსახურს ჩაბღაუჭებულ რუსთაველთან ერთად საბედისწეროდ ჩათრეული ჰყავს თავისივე მიერ მოადგილედ წამოწეული, როგორც ჩანს, ჭკუაუმი უდუმაშვილი, რომელიც დაუფიქრებლად მუქარის ჭურვებს ისვრის მარცხნივ და მარჯვნივ — შიშის ზარსა სცემს ხელისუფლებასაც, პროკურატურასაც და, მით უმეტეს, უზენაეს სასამართლოს.

ეს ნაციონალური შხამით მოწამლული გენერალური დირექტორიც და მოადგილეც, ამათ მიმართ ზოგიერთ პირმოთნე რუსთაველზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უსირცხვილოდ ატყუებენ აშკარად გულმავიწყ ადამიანებს და არა მარტო ეკრანიდან, არამედ საგანგებოდ აქციისთვის გამართული ტრიბუნიდან. რომ ჰკითხო, ვითომ სამართლისთვის იბრძვიან, სინამდვილეში კი სიცრუესა და ცილისწამებას თავისუფალ სიტყვაში ფუთავენ.

თქვე ასეთებო და ისეთებო, რატომ არ გყოფნით ვაჟკაცობა, რომ გამოხვიდეთ და ხალხს პირდაპირ უთხრათ:

ჩვენ სხვის ტელეარხში ვმუშაობთ, ეს ტელეარხი თავის დროზე ყაჩაღმა სააკაშვილმა კანონიერ მფლობელს, გვარად ხალვაშს, წაართვა და თავის სამსახურში ჩაიყენა. ახლა, როცა სამართლიანობის აღდგენის დრო დადგა, რასაკვირველია, უპრიანია, რომ არხი კვლავ თავის კანონიერ მფლობელს დაუბრუნდეს. ასე რომ, სიტყვის თავისუფლება აქ არაფერ შუაშია. რა იცით, იქნებ კანონიერმა მფლობელმა მართლაც ახალ ხარისხში აიყვანოს თავისუფალი სიტყვა და არა ერთი მავნე პარტიის, არამედ მთელი ქვეყნის სამსახურში ჩააყენოს. თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ გამოდის, რომ ყაჩაღურად მიტაცებული „რუსთავი-2" სულ ხელისუფლებაში მოსვლისთვის გაგიჟებული ნაციონალების ხელში უნდა იყოს და ეგრეთ წოდებულ მუდმივ გენერალურ დირექტორს გვარამიას ასევე მუდმივი მოადგილე უდუმაშვილი უნდა ჰყავდეს. ასეთი „რუსთავი-2" კი მუდმივად იმის გაჭიფხულ ცდაში იქნება, რომ ისევ ნაციონალები მოიყვანოს ხელისუფლებაში (ამჟამად ტაქტიკურად გახლეჩილი) და კვლავ და კვლავ გამარჯვებული ხალხის ტელევიზია დაირქვას. ეს მაშინ, როცა, ფაქტობრივად, ხალხი დამარცხებული იქნება.

ასე რომ, 19 თებერვლის აქცია თავისებური კიევური „მაიდნის" გენერალური რეპეტიცია იყო. აკი თვითონვე ამბობენ დაუფარავად, ჩვენ 2020 წლის არჩევნებამდე ვერ მოვიცდითო!

აქციის შეგნებულ თუ შეუგნებელ მონაწილეთა გასაგონად კი უნდა ვთქვათ: თქვენ ნაციონალთა ტალახიანი ფეხის ხმას აყოლილო ადამიანებო, ნებსით თუ უნებლიეთ ამ ქართულ-კიევური „მაიდნის" გენერალური რეპეტიციის მონაწილენი აღმოჩნდით! და გარკვეული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გეკისრებათ ხვალინდელი დღის წინაშე.

**გურამ წიკლაური.**



**P. S. დიდად სამწუხაროდ, ამ „რეპეტიციის" ერთგვარ ხელისშემწყობად უნდა მივიჩნიოთ თვითონ „ოცნების" ხელისუფლებაც, რომელსაც თავისი დაძაბუნებული უპრინციპობა და პოლიტიკური სიბლაგვე რატომღაც ევროპის გასაოცარი დემოკრატიის მშენებლობა ჰგონია.**

**პირდაპირ გასაკვირი ამბავია: ერთი მტყუანი, მიტაცებული ტელეარხი სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვის სახელმწიფოს, რომელიც, როგორც ჩანს, დამარცხებას შეგუებულია, რასაც ხალხი არამც და არამც არ აპატიებს!**

**ისე, ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში ისეთი საამო სიმშვიდე არ ყოფილა, როგორიც იმ 36 საათის განმავლობაში, როცა „რუსთავი-2"-ის ცისფერი ეკრანი შავად გამოიყურებოდა.**

**გ. წ.**

## „საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქტორისგან:

კარგა ხანია, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სძულს მატყუარა და თვითმარქვია „რუსთავი-2", მისი პროვოკატორი, კრიმინალი, უტიფარი პროკურორ-დირექტორი ნიკა გვარამია, მაგრამ... უზენაესი სასამართლო ლაჩრულად დუმს და გაუმართლებლად აჭიანურებს კანონიერი მესაკუთრისთვის ტელეკომპანიის დაბრუნების პროცესს!

აშკარაა, უზენაესი სასამართლოს „დიდი კოლეგია" ერთმანეთთან დაპირისპირებული ნაცების და ქოცების გაუგებარი საბჭოა, რომელიც არაფრად აგდებს ქართველი ხალხის, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს ჯოჯოხეთიდან გამოქცეული ნიკა გვარამიას (და არა ტელევიზიის!) ქართული მიშისტურ-ნაცისტური ტელესივრციდან მოკვეთის შესახებ.

სად სიტყვის თავისუფლება და სად მატყუარა, კრიმინალი, ქართველი ხალხის აბუჩად ამგდები ნიკა გვარამია?

სად თავისუფალი ტელევიზია და სად პანდორას ყუთის პროვოკატორი დირექტორი ნიკა გვარამია?

ის რომ პროვოკატორი და არამზადაა, კიდევ ერთხელ გამოჩნდა არხის ორდღიანი გათიშვით და პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე პროვინციული გამოსვლით: „ამ კაცს არ უყვარს „რუსთავი-2", ამ კაცს არ უყვარს თავისუფალი სიტყვა, ამ კაცს არ უყვარს საქართველო!" — წაიჩხავლა ლიბერასტმა ქინძმა და ბიძინა ივანიშვილის კარიკატურული სურათი მომიტინგეებში ისროლა!

რას დაგამსგავსათ გიჟი და მამაძაღლი სააკაშვილის „სიყვარულმა" ცოდვილო გვარამია, რატომ ატყუებ ხალხს, სად „რუსთავი-2" და სად ბიძინა ივანიშვილი? რით ვერ მოინელეთ ამ ზნეკეთილი, სულით ძლიერი, ნაცებისგან ქვეყნის გადამრჩენელი ქართველის „რუსი ოლიგარქობა" და 5 წლის წინანდელი შეგონება: „თქვენ თქვენი ცრუ რიტორიკა დაგღუპავთ!"

ხომ მართლა დაგღუპათ, არამზადა იურისტო? — ბოლოდროინდელი შენი საქციელი ვითომ ტელევიზიის სახელით რომ აკეთებ და ყბედობ, იმას ნიშნავს, რომ ივანიშვილმა, თავისი ოლიმპიური სიმშვიდით, მოთმენის ნიჭით ბოლომდე „მიგჭირხნა" და ქვების სროლაც კი დაგაწყებინა.

მოტყუებული ხალხია ცოდო, თორემ შენ და შენს ზოგიერთ მეძავ თანამშრომელს რაც გეკუთვნით, იმას მომავალ არჩევნებზე „ოცნების" მხარდამჭერი ქართველი ხალხის მინიმუმ 70 პროცენტი კიდევ ერთხელ (ასჯერ) მოგიზღავთ!

ერთობ საინტერესოა, უზენაესი სასამართლო საქართველოს სახელით მოქმედებს და მოღვაწეობს თუ სააკაშვილის ხელისუფლებაში მომყვანი ცრუ ტელევიზიისა!

# ახლა „ალუბლების რევოლუციის“ ჯერია!

**ნამდვილად ასეა, პატივცემულო მკითხველო, „ვარდების რევოლუციის“ სეზონი კარგა ხანია, დაგვემშვიდობა, ახლა „ალუბლების რევოლუციის“ ჯერია!**

მაგრამ ვიდრე „ალუბლების რევოლუციის“ რაობას გავარკვევდეთ, საჭიროდ მიმაჩნია, კიდევ ერთხელ გავიმეორო ის ჭეშმარიტება, რაზეც „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამ რამდენიმე დღის წინათაც ვწერდი. კერძოდ, ვამბობდი, რომ 2012 წლის არჩევნებით მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“, იმის მაგივრად, რომ დამნაშავე, ქვეყნის დამაქცევარი ნაცები მათთვის საკადრის ადგილზე მოესვა, თავად კი ხალხისთვის მიცემული დაპირებების შესრულებაზე ეზრუნა, მთელი ოთხი წელიწადი ნაცბანდელების მიერ შეთითხნილი ბრალდებებისგან თავის დაცვაში, მათთან უსაგნო კამათში გაატარა და, როგორც ჩანს, იმავეს გაგრძელებას აპირებს მომდევნო ოთხწლეულშიც. მაგრამ გამოუვათ თუ არა ძველი ვარიანტის გაგრძელება, საეჭვოა, რადგან ერთმანეთის ლანძღვა-თათხვის კომედიის თამაში, ეტყობა, ყელში ამოუვიდათ თავად ამ კომედიის პროფესიონალ აქტიორებს — უზნეო და უტიფარ ნაცებს, რამაც ერთბაშად ამოხეთქა კიდეც ამ უკანასკნელთა მოიერიშე ფავორიტის ირაკლი აბესაძის მიერ ამ დღეებში გაკეთებულ განცხადებაში.

„**ქალბატონო ეკა,** — მიმართა აბესაძემ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ბესელიას, — **მეხუთე წელი დაიწყო, რაც ხელისუფლებაში ხართ და მუდმივად საუბრობთ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ რაღაც დააშავა, რომ მკვლელები და მწვალებლები ვართ. საკონსტიტუციო უმრავლესობა თქვენს ხელშია, წინა მოწვევის პარლამენტიც თქვენს ხელში იყო. მთავრობა თქვენ ხართ, ან შექმენით შესაბამისი კომისია, რომელიც გამოიძიებს, რა ჩაიდინა წინა ხელისუფლებამ და პასუხი აგებინეთ ნებისმიერ დანაშაულზე, ან დაასრულეთ საუბარი იმაზე, რომ ჩვენ რაღაც გავაფუჭეთ. მეხუთე წელია, გვესმის, რომ ჩვენ გავაფუჭეთ და გეკითხებით, რატომ არ გვთხოვთ პასუხს?!“**

ხედავთ, პატივცემულო მკითხველო, რა ხდება? **არჩევნებში ორჯერ დამარცხებული არამზადა ნაცები სილას აწნავენ არჩევნებში ორჯერ გამარჯვებულ უქნარა ქოცებს და მოითხოვენ იმას, რასაც აგერ უკვე მეხუთე წელია, უშედეგოდ ითხოვს ქართველი ხალხი. ამომრჩევლის მთავარი მოთხოვნაც ხომ ეს იყო — სამართლიანობას ეზეიმა, საკადრისად დასჯილიყო დამნაშავე და არა ის, რომ მთავრობა სავარძლებში თბილად მოკალათებულიყო და ფუფუნებაში ეცხოვრა.**

ჰოდა ახლა, ამ ყველაფრის შემდეგ, როცა გამარჯვებულმა ქოცებმა დაპირებული სამართლიანობა ვერ აზეიმეს და დამნაშავე მიშნაცები დღესაც დაუსჯელად ყელყელაობენ, როგორ ფიქრობთ, ამ უკანასკნელებმა რა შეიძლება მოიმოქმედონ იმისათვის, რომ მთელი ცხოვრება დამნაშავის იარლიყს არ ატარებდნენ და საზოგადოებაში თავი გამოეყოფოდეთ? ლოგიკური იქნება, ვიფიქროთ, რომ მათ ერთადერთი გამოსავალიღა დარჩათ — რადგან უქნარა ქოცების ხელიდან დასჯას ვერ ეღირსნენ, საკუთარი თავი თავადვე დასაჯონ(!). მერე რა, რომ ნაცები უნამუსობითა და უზეობით არიან სახელგანთქმული. ხომ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, მათშიც გაიღვიძოს სინდისის ქენჯნამ და ერთ მშვენიერ დღეს „რუსთავი-2“-ის ეთერით შევიტყოთ, რომ ნაცების უჭკნობი ბელადი სააკაშვილი ამერიკული „ბიონგიდან“ გადახტა, მათი ინტელექტუალი ლიდერი ბოკერია ქუჩაში გამვლელებმა თოკზე ჩამოკიდებული იპოვეს, ხოლო ვაჟკაცობით გამორჩეულმა გივი თარგამაძემ, რომელსაც ადრე ტერაქტი მოუწყვეს, ამჯერად თავი საკუთარ მანქანაში









**გვახსოვს, გვარამია ადრეც ოცნებობდა ბარიკადების აგებაზე (ვიკილიქსის ჩანაწერები), რევოლუციის გზით ხელისუფლების დამხობაზე და თუ მომენტი ჩაუვარდა, ამ „სიკეთეზე“, ალბათ, არც ახლა იტყვის უარს. ალბათ, მიშასავით ტანადი და მასავით ინტელექტით გაძეძგილი ნიკანდრო მელიაც ემზადება მომენტის დადგომისთანავე მეამბოხეებითურთ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში შესავარდნად, მარგველასათვის კახური ღვინით სავსე ჭიქის (შევარდნაძის ჩაის ჭიქის ნაცვლად) ხელიდან წასაგლეჯად „ალუბლების რევოლუციის“ (ვარაუდობენ, რომ რევოლუცია ალუბლების ყვავილობის პერიოდს დაემთხვევა) გამარჯვებულად გამოსაცხადებლად და ქოცების უქნარა მთავრობის გადასაყენებლად.**

თავადვე აიფეთქა?!

უფალმა დაგვიფაროს ნაცების მიერ გარისკული მსგავსი სუიციდური საქციელისგან, მაგრამ თუკი ასეთი უბედურება ქვეყანას მაინც დაატყდებოდა, როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ეს ვის დაბრალდებოდა? რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, ახლაც განტევების ვაცი გახდებოდა ქვეყნისა და მთავრობის არაფორმალი მმართველი ბიძინა ივანიშვილი, რომელზეც იტყოდნენ: იმის გამო, რომ საქართველოში სამართლის დადგომას საშველი ვერა და ვერ დააყენა, ბედშავი მიშნაცები თვითმკვლელობამდე მიიყვანაო. ივანიშვილი რომ თავის დროზე დასავლეთის მიერ შემოთავაზებული კოჰაბიტაციის ანკესზე არ წამოგებულიყო და შემდეგ ყველაფერზე ხელჩაქნეული მაგნოლიების გადარგვით არ გართულიყო, მიშნაცები იძულებული არ გახდებოდნენ თვითდასჯით დაკავებულიყვნენო; რაღა თქმა უნდა, დემოკრატიული საზღვარგარეთიც ამ ფაქტებს მაშინვე „პოლიტიკურ თვითმკვლელობად“ მონათლავდა, შენგენის ქვეყნებში ვიზალიბერალიზაციას შეგვიჩერებდა და აღმოსავლეთ ევროპაში ლიდერი ქვეყნის რეიტინგსაც უმალ დაგვაკარგვინებდაო.

ასე რომ, პატივცემულო მკითხველო, შემიძლია, მოგილოცოთ, ნაცების მოსალოდნელ თვითგენოციდთან დაკავშირებულ ტრაგედიას ნამდვილად გადავურჩით, მაგრამ სრულიად დამშვიდების გარანტიას მაინც ვერ მოგცემთ იმ უბრალო მიზეზისა გამო, რომ ნაცბანდაში ერთიანი პარტიული დისციპლინა, რითაც წლების მანძილზე ამაყობდნენ, კარგა ხანია, მოიშალა. წავიდა ის ლაზათიანი ხანა, როცა მიშა რაღაცას დაიჩხავლებდა და მთელი ნაცხროვა თუთიყუშივით იმავეს იმეორებდა. მას შემდეგ, რაც ნაცმოძრაობა „ევროპულ“ და „აზიურ“ ნაცნაწილებად, „გირჩებად“ და „ქინძებად“ დაიშალ-დაქუცმაცდა, ყველა ამათგანი თავისას მიერეკება. ამ დღეებში განსაკუთრებით აიწყვიტა თავი (პროვოკატორული ხუნტრუცი ადრეც არ აკლდა!) მიშას ტელერუპორმა, თავისუფალი სიტყვის ვარსკვლავბიჭუნამ ნიკა გვარამიამ, რომელიც სამართალდამცავმა ორგანოებმა საკომპიუტერო სისტემასთან უკანონო კავშირში, ასევე უკანონო ჩანაწერების კეთებასა და მოსამართლეთა მოქრთამვის მცდელობაში ამხილეს. არხის გენდირექტორს იმის მაგივრად, რომ ნაცლიდერის ირაკლი აბესაძის „დიდაქტიკის“ შესაბამისად, ჩადენილი დანაშაული ეღიარებინა და კუთვნილი სასჯელის აღსასრულებლად საპატიმროში საკუთარი ფეხით წაცუნცულებულიყო, ხელისუფლება აქეთ ტელეარხის ხელში ჩაგდების მცდელობაში დაადანაშაულა, ტელეგადაცემები პროვოკაციულად შეწყვიტა და მაუწყებლობის მხარდამჭერებს თავისუფალი სიტყვის დასაცავად პერმანენტული საპროტესტო აქციებისკენ მოუწოდა. **გვახსოვს, გვარამია ადრეც ოცნებობდა ბარიკადების აგებაზე (ვიკილიქსის ჩანაწერები), რევოლუციის გზით ხელისუფლების დამხობაზე და თუ მომენტი ჩაუვარდა, ამ „სიკეთეზე“, ალბათ, არც ახლა იტყვის უარს. ალბათ, მიშასავით ტანადი და მასავით ინტელექტით გაძეძგილი ნიკანდრო მელიაც ემზადება მომენტის დადგომისთანავე მეამბოხეებითურთ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში შესავარდნად, მარგველასათვის კახური ღვინით სავსე ჭიქის (შევარდნაძის ჩაის ჭიქის ნაცვლად) ხელიდან წასაგლეჯად „ალუბლების რევოლუციის“ (ვარაუდობენ, რომ რევოლუცია ალუბლების ყვავილობის პერიოდს დაემთხვევა) გამარჯვებულად გამოსაცხადებლად და ქოცების უქნარა მთავრობის გადასაყენებლად.**

და თუ ეს ახდა, როგორი რეზონანსი ექნება დემოკრატიულ მსოფლიოში, არ გაინტერესებთ? „ვარდების რევოლუციის“ მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ჩვენი ამერიკელი და ევროპელი კეთილისმყოფელნი ვარდებით ხელში შეეგებებიან საქართველოში მომხდარ უსისხლო „ალუბლების რევოლუციას“, კიდევ ერთხელ დაუჭერენ მხარს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, მკაცრად დაგმობენ უკრაინასა და საქართველოში რუსეთის ოკუპანტურ პოლიტიკას. აღშფოთებულის ნაცვლად ამჯერად გაღიმებულს ვიხილავთ ამერიკის ელჩს, რომელიც მოგვილოცავს საქართველოში თავისუფალი სიტყვის გაჯეჯილებას.

ერთსაც დავამატებ. პატივცემულო მკითხველო, თავს უფლება მივეცი, მოვლენების გულმოდგინე ანალიზის საფუძველზე, შემომეთავაზებინა „ალუბლების რევოლუციის“ ჩემეული ვარიანტი. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რიყის ქვებივით გაშლილ-გაფანტული ნაცები, ახლო მომავალში კვლავაც ერთ გუნდად შეიკრან, ისევ მიშას ხუშტურებზე გადაეწყონ და საქართველო ფერადი რევოლუციების უკრაინულ, ან სულაც ზიმბაბვურ-იემენურ ვარიანტზე წამოაგონ. ვნახოთ, ნაცების აგორებული აქციები რას მოგვიტანს და შედეგებიც ამის მიხედვით დავაგემოვნოთ.



**ოთარ ხუციშვილი**

# „სხვისი სახლი“ პრესტიჟული ჯილდოს „სატელიტი“ მფლობელი გახდა

**ლოს ანჯელესში პრესის საერთაშორისო აკადემიის რჩეულები გამოავლინეს. სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ ისეთი ცნობილი და აღიარებული ფილმები როგორებიცაა** La La Land, Moonlight, The Salesman, Manchester by the Sea, Jackie, Hacksaw Ridge, Elle **და ა.შ.**

საუკეთესო დებიუტისთვის კი „სატელიტი“ ქართველ რეჟისორს რუსუდან გლურჯიძეს გადასცეს ფილმისთვის „სხვისი სახლი“.




„სხვისი სახლი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმია, რომელსაც უკვე აქვს მოპოვებული არაერთი საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის მთავარი პრიზები კარლოვი ვარის, ბერგენის, ევრაზიისა და თბილისის საერთაშორისო ფესტივალებზე.

პრესის საერთაშორისო აკადემია გლობალური ასოციაციაა, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე პროფესიონალი ჟურნალისტებისგან არის დაკომპლექტებული.

„სატელიტის“ ჯილდო 1996 წლიდან გაიცემა და იგი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება.




# თბილისი, სოხუმი(?), ცხინვალი(?) – ევროინტეგრაცია: მითები, ვალდებულებები და სინამდვილე

*2014 წლის ივნისში, ერთი მხრივ, ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მთავრობას შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ მოეწერა ხელი, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DC FTA) კომპონენტსაც მოიცავს. აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველომ და ევროკავშირის ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინეს. დოკუმენტის ამოქმედების შემდეგ ბევრი მითი წარმოიშვა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისა და ქვეყნის მომავლის შესახებ, რასაც ჩრდილოელი მეზობლის ძლიერმა პროპაგანდამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. დადგა 2017 წელი: ამჯერად ქვეყანა ერთ ნაბიჯშია ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შემოღებისგან, და წამოვიდა მითების ახალი ტალღა, განსაკუთრებით — ოკუპირებულ რეგიონებში. ამ მასალის მიზანია, კიდევ ერთხელ, მარტივად და დეტალურად ავუხსნათ მკითხველს როგორც სოხუმსა და ცხინვალში, ისე დანარჩენ საქართველოში, რაში მდგომარეობს რეალობა, რათა მას ობიექტური ინფორმირებულობის წყალობით თავისუფალი არჩევანის გაკეთება გაუადვილდეს.*

## ევროპა, ევროკავშირი და ევროპული პოლიტიკა

**მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაზე დატოვა კვალი: ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები... ამ ფონზე ევროპის სახელმწიფოებმა მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტირებისთვის გზების ძიება დაიწყეს და ამ პროცესში თანდათან გააცნობიერეს ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობა. შედეგად ჩამოყალიბდა პრინციპული პოლიტიკა, რომლის მიზანს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ინტეგრაცია და მშვიდობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.**

ევროპის სახელმწიფოების ერთობა — ევროკავშირი „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებისა“ და „ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისაგან“ იღებს სათავეს, რომლებიც 1951 და 1958 წლებში ექვსმა სახელმწიფომ (ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები) დააარსა.

დასახული მიზნების განხორციელების გზაზე ევროპის სახელმწიფოებმა შეძლეს, გვერდი აევლოთ სერიოზული კრიზისებისა და დაბრკოლებებისთვის, შეენარჩუნებინათ იდეების ხელშეუხებლობა და ურღვევობა. ევროკავშირის ძირითად მიღწევად უნდა ჩაითვალოს წევრ სახელმწიფოებს შორის ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა და დემოკრატიული თანხმობა, რომლის მეშვეობითაც საერთო მიზნები ხორციელდება.

ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკის მიზანს ერთიან შიდა ბაზარზე ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა; ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, თევზის რეწვასა და რეგიონულ განვითარებაში საერთო პოლიტიკის შენარჩუნება წარმოადგენს. ამ მიზნით შენგენის ზონაში საპასპორტო კონტროლი გაუქმდა. 1999 წელს კი გადაწყდა ერთიანი ვალუტის (ევრო) შემოღებაც, რაც ძალაში 2002 წელს შევიდა.

დღეისათვის ევროკავშირი 28 სახელმწიფოს ითვლის, ე.წ. ევროზონა კი 19 ქვეყანას აერთიანებს.

## რას გვაძლევს ევროკავშირი?

**ევროკავშირი მხარს უჭერს მშვიდობას და სტაბილურობას, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების, სოფლის მეურნეობის და რეგიონების განვითარებას.**

ორგანიზაცია 500-მილიონიან ბაზარს გვთავაზობს, რომელზეც დაცულია როგორც მეწარმეების, ისე სახელმწიფოსა და მომხმარებლების უფლებები.

„2030 — მდგრადი განვითარების დღის წესრიგის“ მე-4 მიზნის შესაბამისად, ევროკავშირი მოწოდებულია, უზრუნველყოს ინკლუზიური და ხარისხიანი განათლება ყველასათვის და ხელი შეუწყოს განათლების მთელი ცხოვრების მანძილზე მიღებას.

ორგანიზაცია ასევე უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას.

## რა არის ევროინტეგრაცია?

**ევროპული ინტეგრაციის სახელით ცნობილი პროცესი, რომელიც ევროკავშირსა და მის პოლიტიკას ემყარება, ევროპასთან ამა თუ იმ ქვეყნის ნაწილობრივ ან მთლიან სამრეწველო, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ინტეგრაციას გულისხმობს.**

ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამკვიდრებას, ქვეყნის განვითარებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს.

2014 წლის ივნისში ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს ასოცირების ხელშეკრულებას (AA), რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ერთად, საფუძველს უყრის საქართველოს ევროკავშირთან შორსმიმავალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

## რა არის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე

**ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე არის საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირისასთან დაახლოების ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოს ვაჭრობისა და ეკონომიკის ზრდას უზრუნველყოფს და, ამასთანავე, დაეხმარება ევროკავშირთან საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობაში არსებული ბარიერების მოხსნაში. შეთანხმება დიდ თუ მცირე ქართულ ბიზნესს ევროკავშირთან ვაჭრობის უკეთეს შესაძლებლობებს შეუქმნის და ხელს შეუწყობს ევროკავშირის ბიზნესს, ინვესტირება მოახდინოს საქართველოში.**

დამოუკიდებელი კვლევების შედეგების თანახმად, მოსალოდნელია საქართველოდან ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის 12%—ითა და მშპ-ის 4.3%—ით გაზრდა, ანუ გრძელვადიან პერსპექტივაში — დამატებით — 292 მლნ შეთანხმებული რეფორმების დასრულება.

რაც შეეხება შეთანხმების გავლენას სურსათის ფასებზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე გახსნის საქართველოს ბაზარს ევროკავშირიდან სურსათის იმპორტირებისთვის, ეს კი მეტ კონკურენციას გამოიწვევს და პოტენციურად სამომხმარებლო ფასებს შეამცირებს. თუმცა თუკი რომელიმე სურსათზე ფასი გაიზრდება, ეს შეიძლება, არც ისე ცუდი იყოს, რადგან შესაძლებელი გახდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ბევრი მოქალაქის შემოსავლის გაზრდა.

ევროკავშირიდან შემოტანილი სურსათი, სავარაუდოდ, გადამუშავებული იქნება, მაგალითად, შოკოლადი და არა სურსათის ისეთი სახეობა, რომელიც ადგილზე იწარმოება. ასე, რომ იმის ალბათობა, რომ ევროკავშირიდან ხილისა და ბოსტნეულის იმპორტი ქართველ გლეხზე გავლენას მოახდენს, უმნიშვნელოა.

ამასთან, აღნიშნული შეთანხმება დაეხმარება საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებას. ევროკავშირი აღიარებს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა არა მარტო დიდი საექსპორტო პოტენციალის მქონე სფეროა, არამედ დიდი სოციალური დატვირთვაც აქვს, რადგან საქართველოს შრომითი ბაზრის ნახევარი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული.

შეთანხმება საქართველოს ევროკავშირის ეკონომიკასთან ინტეგრირებაში დაეხმარება, ასევე ხელს შეუწყობს კონკურენციასა და ეკონომიკურ ზრდას.

## DCFTA: მოთხოვნები და პრეფერენციები

**იმაზე, თუ რა ვალდებულებებს აკისრებს, რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს, რა გზებით გაუმარტივებს საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ბაზარზე შესვლას DCFTA, ასევე იმაზე, რატომ უნდა გააკეთოს მეწარმემ არჩევანი რუსულ და ევროპულ ბაზრებს შორის სწორედ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, „აქცენტი“ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროს მარიამ გაბუნიას ესაუბრა.**

მისი თქმით, DCFTA-ს ირგვლივ მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით უპრეცედენტო შეთანხმებას მიაღწია: შედეგად ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (მაგალითად, ნიორი — კვოტის ფარგლებში) გარკვეული პირობების (სურსათის უვნებლობისა და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტები) დაკმაყოფილების შემთხვევაში ევროკავშირის ბაზარზე ნულოვანი საბაჟო ტარიფით შევა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეწარმე თავისი პროდუქტის ევროკავშირის ტერიტორიაზე შეტანისას არ გადაიხდის საბაჟო გადასახადს, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკმაოდ მაღალია.

თუმცა იმისათვის, რომ პროდუქტი საქართველოს ტერიტორიიდან ევროკავშირში გაიტანო, პირველ რიგში, იგი საკმარისი რაოდენობით უნდა გქონდეს:

„ჩვენთან ძალიან ბევრი წვრილი ფერმერულ-გლეხური მეურნეობაა, აქვთ პატარა ნაკვეთები და, შესაბამისად, მცირე რაოდენობის მოსავალი მოჰყავთ. ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი წვრილი ფერმერული მეურნეობების, გლეხების კოოპერატივებში გაერთიანებაა. მაგალითად, ერთი პროდუქციის მწარმოებლები (იქნება ეს ვაშლი, მწვანილი თუ სხვა) გაერთიანდნენ კოოპერატივში და შეეცადონ, მოიწიონ დიდი რაოდენობის პროდუქტი. მეწარმეს არჩევანი ეძლევა: დამოუკიდებლად გააკეთოს ეს, თუკი შესაძლებლობა აქვს, თუ არადა, კოოპერატივში გაერთიანდეს და ერთობლივად დაამყარონ კონტაქტები პროდუქციის ევროკავშირში გასატანად, რაშიც მათ სახელმწიფო დახმარებას სთავაზობს“, — განაცხადა გაბუნიამ.

აქვე ვიტყვით, რომ საქართველოს მთავრობა აღნიშნულის ხელშეწყობას ამჟამად ევროკავშირის დახმარების ფარგლებში ახორციელებს. კერძოდ, არსებობს პროექტი „ENPARD“, რომელიც სწორედ ასეთი კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობაზეა ორიენტირებული.

შემდეგი ნაბიჯი ევროკავშირში კავშირების აწყობაა: ევროკავშირში პროდუქციის იმპორტს იქაური კომპანია ახორციელებს. შესაბამისად, ჩვენმა მეწარმეებმა კონტაქტი იქაურ კომპანიასთან უნდა დაამყარონ. ქართულ სახელმწიფოს ასევე აქვს პროექტები, რომელიც მეწარმეს დახმარებას ამ კუთხით გაუწევს. სწორედ ასეთ პროექტებს ახორციელებს, მაგალითად, ეკონომიკის სამინისტროს ქოლგის ქვეშ მოქმედი მეწარმეობის განვითარების სააგენტო. მაგალითად, მას მიჰყავს მეწარმეები გამოფენებზე თანადაფინანსებით, რათა მათ თავისი პროდუქცია წარმოადგინონ და შემდეგ იქვე მოიძიონ შემსყიდველი კომპანიები, ანუ დისტრიბუტორები.

გარდა ამისა, მიღწეული შეთანხმების ფარგლებში ქართველ სპეციალისტებს (ინდივიდუალურად თუ კომპანიებს შორის გაფორმებული კონტრაქტების საფუძველზე) მიეცემათ საშუალება, ევროკავშირში მომსახურება გასწიონ.

ამასთან, მეწარმეებს ევროპაში საკუთარი კომპანიის ფილიალის გახსნისა და იქ ქართველი მენეჯერების დასაქმების შესაძლებლობა ეძლევათ. „ევროპაში ფილიალის გახსნა, პირველ რიგში, ფინანსებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ამა თუ იმ კომპანიას ევროპაში ფილიალის გახსნა უნდა ულირდეს. თუ რომელიმე ქვეყანაში გარკვეული ტიპის სამეწარმეო საქმიანობას აპირებ, ეს საქმიანობა იმ ქვეყნის კანონმებლობის შესაბამისად უნდა განახორციელო, სადაც ფილიალს გახსნი. მაგალითად, თუ გერმანიაში ხსნი ფილიალს, გერმანულ კანონებს უნდა დაემორჩილო, გადასახადები იხადო და ა. შ.“, — განმარტავს მარიამ გაბუნია.

შეთანხმება ასევე მოიცავს პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების მექანიზმებს. ამის შემდეგ ქართველი სპეციალისტების მიერ ევროკავშირის ქვეყნებში მომსახურების გაწევა მნიშვნელოვნად გაადვილდება.

ამასთან, შეთანხმების თანახმად, ქართული საქონელი და მომსახურება ეტაპობრივად მიიღებს დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვებში.

იხ. 7 გვ.

# ფარული ნაცრისფერი ტრაგიკულობა

## ოთარ ჩხეიძის „კვერნაქის" ერთი ასპექტი

### ორიოდე სიტყვა წინასწარ

**ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და ჟურნალ „ჩვენი მწერლობის"** თაოსნობით, **ოთარ ჩხეიძის** რომანის — „კვერნაქი" განხილვა გაიმართა. მწერლის ვაჟმა, მწერალმა და მკვლევარმა **როსტომ ჩხეიძემ** დამსწრე საზოგადოებას დღიურის ის ჩანაწერები გააცნო, რომელიც ავტორმა 1965 წელს რომანის მწერალთა სახლში განხილვის შემდეგ გააკეთა.

„ეს დღიური იმდროინდელი განხილვის ერთგვარი რეპორტაჟია, რომელიც შეიძლება სატირულ ნოველადაც ჩავთვალოთ," — აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ.

საერთოდ, საბჭოთა კრიტიკოსები, ხელისუფლების უშუალო დავალებითა და ჩარევით, ოთარ ჩხეიძეს არათუ აკრიტიკებდნენ, არამედ მისი რომანების გამოცემას ხელსაც უშლიდნენ, მაგრამ მწერალი მაინც ახერხებდა, რომ მთავარი სათქმელი მკითხველამდე გამჭვირვალე ქვეტექსტებით მიეტანა.

რომანი „კვერნაქი", რომელიც ოთარ ჩხეიძემ 1964 წელს დაწერა, სანდრო ბონიძის ცხოვრებაზე სატირულად მოგვითხრობს. სხვათა შორის, მთავარი პერსონაჟი თავდაპირველად ცხოიძე იყო, მაგრამ ვინაიდან ზოგიერთ კრიტიკოსს ის ავტორის ალტერ ეგოდ აღუქვია გვარების ერთგვარი ფონეტიკური მსგავსების გამო — ცხოიძე-ჩხეიძე, 1987 წლის გამოცემაში ოთარ ჩხეიძემ სანდროს გვარი ბონიძედ გადააკეთა.

„1958 წლიდან, საბჭოურ მწერლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იწყება და ოთარ ჩხეიძის „კვერნაქშიც" 50-60-იანი წლების საბჭოური რეალობა და ტრაგედიაა აღწერილი. ზოგადად, ოთარ ჩხეიძე მაშინდელ ფანტასმაგორიულ თამაშებში ჩართული არ ყოფილა და ამიტომაც ისაა მწერალი, რომელსაც შეიძლება ენდო," — აღნიშნა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა **ნონა კუპრეიშვილმა.**




მისივე თქმით, ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებები მკითხველს „ძნელად კითხვის ბედნიერებას" ანიჭებს. „სწორედ ესაა დიდი მწერლობა, რომელსაც მომავალში კიდევ უფრო დიდი ფასი დაედება, რადგან ოთარ ჩხეიძის შემოქმედება მხოლოდ კი არ გვაჩვენებს, როგორები ვიყავით, არამედ გაფრთხილებაცაა, რომ ადამიანს უფლება არ აქვს, ცხოვრება ფუჭად განვლოს," — დასძინა ნონა კუპრეიშვილმა.

განხილვაზე, რომელსაც ლიტერატურული წრეების ცნობილი წარმომადგენლები ესწრებოდნენ, სიტყვით გამოვიდნენ ფილოლოგიის დოქტორი **თამარელა წოწორია** და დოქტორანტი **ოქტაი ქაზუმოვიც**, რომელიც სტუდენტობისას ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდიატი იყო. ასევე, მსმენელს გააცნეს პროფესორ **ინგა მილორავას** ესეი.

მწერლისა და ჟურნალისტის **პაატა ნაცვლიშვილის** თქმით, ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებს, რომლებშიც ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ზედმეტი ერთი სიტყვაც არ არის, ღრმა ანალიზი სჭირდება და ქართულ კრიტიკას საამისოდ ძალ-ღონე შესწევს.

ჟურნალისტი და პროფესორი **იოსებ ჭუმბურიძე** კი გამოვიდა ინიციატივით, რომ მწერლის 24 რომანი, რომელიც წარმოადგენს ქართველი საზოგადოების საგას, ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით დალაგდეს და საერთო სათაურით — „მატიანე ქართლისაი" — გამოიცეს.

ლიტერატორმა **ნიკა სანებლიძემ** კი ყურადღება მიაქცია იმ საგულისხმო გარემოებას, რომ რომანის მთავარი გმირი არშემდგარი დონ ჟუანია.

შეხვედრას უძღვებოდა პროფესორი **მაია ჯალიაშვილი**, რომლის ესეიც — „ცოდნის **ტყვეობაში"** — ბოლოსიტყვაობად დაერთვის რომანს.

ლიტერატურულმა პროექტმა, რომელსაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება ახორციელებს და საბოლოოდ თავი უნდა მოუყაროს ოთარ ჩხეიძის 24-წიგნიან რომანთა ციკლს, ჯერჯერობით 15 ნიმუში გამოსცა **უილიამ ფოლკნერის „იოკნაპატოფას საგის"** ამერიკული საგამომცემლო ფორმატის ანალოგიით, და ერთ-ორ წელიწადში უკვე გვექნება ხელთ მთლიანი სერია ასე ცალ-ცალკე წიგნებად, შემდგომ კი უკვე დადგება დრო, როცა ქართველი საზოგადოების საგაც დალაგდება ისტორიული ქრონოლოგიის კვალობაზე — შესაფერისი კომენტარებისა და ექსკურსების დართვით, რაც ხელს შეუწყობს მკითხველს, ყოველმხრივ გაერკვეს უმძაფრესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამბების დუღილში.

ამჯერად კი „საქართველოს **რესპუბლიკის"** მკითხველს ვთავაზობთ **ინგა მილორავას** ესეის.

---

ᲐᲠᲪ ერთ ქვეყანაში არაა იოლი მწერლის გზა და მწერლის ბედი. უდიდესი პასუხისმგებლობაა საკუთარი დროის, წარსულისა და მომავლის წინაშე. ემპირიული დრო და სივრცე, რომელშიც არსებობს მწერალი, უმეტესად ცდილობს მის გაჩუმებას, გაწვრთნას, თავის ჭკუაზე მოთოკვას და იმ წისქვილის ბორბლად ქცევას, რომელიც მისი ქვეყნის შვილებს და, ზოგადად, ადამიანს ფქვავს, დროს და სიცოცხლეს ფქვავს და ჭირის, ტყუილის პურს აცხობს.

ბევრგან მომხდარა და მოხდება ამგვარი რამ, ბევრი წისქვილის ქვა დატრიალებულა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მწერლებისთანა ტრაგიკული ბედისწერის მწვავე ბეჭდით დაღდასმული მწერლური გზა, განსაკუთრებით იმ მწერლებისა, რომლებსაც საბჭოთა ეპოქაში მოუწიათ ცხოვრება, ბევრიც არ ყოფილა დედამიწაზე. ამ გზას თავისი აღმასვლა და დაღმართები აქვს, თავისი შედარებით თავისუფლება და გაუსაძლისი ბნელი საკნები მთელ სავალზე, ხან ამოსუნთქვა, ხან ყელში წაჭერილი ჯალათმოყურიადეების ხელები... ამ გზაზე სიარული ძნელია, მაგრამ იმ ხალხისთვის და იმ მიწიერი მამულ-სახლისთვის მნიშვნელოვანი, რომლის შვილიცაა და რომლის გულისთვისაც დადის, არ ისვენებს, კონფორმიზმის ურჩხულს ებრძვის ნამდვილი მწერალი — მთელი სიცოცხლისა და გულის ფასად.

ოთარ ჩხეიძის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა ნამდვილი მწერლის და სწორედაც ქართველი მწერლის, ამ ტრაგიკული ეპოქის შემოქმედისთვის ნიშნეული გზაა ყველა ნიშნით: ეპოქის ძალმომრეობა, პიროვნული, ოჯახური ტრაგედიები. ფესვების გადაჭრის მცდელობა, ყველა სახის წინააღმდეგობები, მათი გადალახვა და მათთან შეუპოვარი ბრძოლა ღიად, საქმით და კიდევ უფრო მწვავედ სტრიქონებსა და სტრიქონებს მიღმა, სიღრმეში. თითქოს დედამიწის გულში ჩადის, იქ იკრებს ძალას, ცეცხლს, ლავას, ენერგიას, სიღრმეები იწრთობა და მერე ამოაქვს ზედაპირზე თავისი ერისა და ხალხის სახეებში, ხასიათებში, მოვლენებში, განცდებში ის საძირკვლისმიერი, ზოგადასაკაცობრიოსთან გადაჭდობილი ძალა და ღირსება, რომელიც ამ ქვეყნის ადამიანებს წარსულთან აკავშირებს, აწმყოში აძლებინებს და სამომავლოდ ამოქმედებს.

**„მწერალი მხატვარია პირველყოვლისა, ოღონდ მემატიანეცაა ეპოქისა იმავე დროსა"** — თქვა ოთარ ჩხეიძემ და აიღო ტვირთი იგი მძიმე და მწვავე, საშიში გარეთ ჩასაფრებულთა გამო და საფრთხილო საკუთარი გულისაგან. აიღო და მრავალი წელი ატარა. ამაზე უკვე ზედმეტიცაა საუბარი, იმდენი თქმულა, იმდენი დაწერილა...

24-რომანიანი „მატიანე ქართლისაი" უზარმაზარი ტილოა, რომელზეც უამრავი სახე და ხასიათი განლაგდა. აქ უდიდესი, მასშტაბური მხატვრული სივრცეა გადაშლილი, რომელზეც მწერალი დროის სხვადასხვა პლასტებს ამაგრებს, ანაცვლებს, თითქოს ცხოვრების არამარტო სიბრტყისეულ ანაბეჭდს, არამედ განივკვეთსაც წარმოაჩენს, რომელშიც ჩანს თვალისთვის უხილავი უჯრედები, ბმულები, დინებები, ერთმანეთზე დამოკიდებული მოვლენების შინაგანი კავშირები. ეს არის ეპოქის მხატვრული ანალიზი ნაბიჯ-ნაბიჯ, ღონიერი მონასმებით და მძლავრი საჭრეთლით ჩამოქნილი და ამ დიდ ნაკადში, ამ 24-წიგნიან სიტყვის მწველ ლავაში თავის ადგილს იკავებს რომანი „კვერნაქიც".

ცხოვრება არაა მხოლოდ გმირული შემართება და კეთილშობილ და მძლავრ სულთა ასპარეზი. ცხოვრება ბევრად მრავალშრიანია და მრავალპლანიანი, ვიდრე ის ამბები, რომლებიც თავიანთი აღმატებულობითა და ღია ტრაგიზმით იტაცებს მწერლის თვალს და იპყრობს მკითხველის გულს. და ბევრად ძნელიცაა გამოსახოს მწერალმა სწორედ ეს გაუსაძლისი, ფარული, თითქოს, ასე ვთქვათ, „მოზუზუნე" ნაცრისფერი ტრაგიკულობა, რომელიც აუფასურებს ადამიანის სიცოცხლეს, ანგრევს, აჭაობებს და ანადგურებს.

მწერალი ამ შემთხვევაში, ამ რომანში ემპირიული დროის ზუსტ ანაბეჭდს ქმნის, რეალისტურსა და შეულამაზებელს. სივრცე კი, რომელიც ასევე შემოზღუდულია რეალური ტოპონიმიკით და თვისობრიობაც დროის შესატყვისი აქვს, მაინც უფრო სხვა დატვირთვას იძენს კვერნაქის შემოტანით.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, „ბრეთის დასავლით წვერიდამ ასტყდების მთა კვერნაქი და მივალს ფიცისწყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლისჯუარი. წვერს ქუეით, არადეთს, არს ჭია მარიამული". კვერნაქი სიმბოლოა ამ ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლისა და ამავე დროს თითქოს იმ ზოგადი მთის სახეცაა, იმ ჭეშმარიტი მწვერვალის, რომელიც ასე ახლობელია, ხელის გაწვდენაზეა, საკუთარია, მაგრამ მიუღწეველი, თუ ცხოვრებამ დაკარგა ნამდვილი გეზი, გაყალბდა, აირია, დაიბნა, დანაწევრდა და დაიშალა.

სულის დაშლა ყველაზე დიდი ტრაგედიაა იმ ეპოქის ადამიანებისა, რომლებსაც ძეგლს უდგამს, დიდებულებსაც და არადიდებულებსაც, თავის რომანებში მწერალი. ტრაგედია არც წამებული სიკვდილია, არც ტანჯვა, ეპოქის ჭეშმარიტი ტრაგედია სულის დანაწევრებაა, როცა ადამიანი იბრძვის, მაგრამ ვერ იძვრის, როგორც სიზმარში, ცდილობს რაღაც გაარღვიოს, იპოვოს საკუთარი ადგილი სამყაროში, მაგრამ სინამდვილეში ხელფეხშეკრულია გარემოს ბორკილებით და მისი გაბრძოლება არაფრისმომტანია, გარდა რღვევისა.

„კვერნაქი" თავისი ეპოქის უტყუარი ანაბეჭდია, არამარტო ხასიათების სიღრმითა და მასშტაბურობით, არამედ ყოფითი სურათების განუმეორებელი ფერებით, ერთდროულად სიმწვავით და თან დაფარული ცრემლით, გლოვით, რომ ის სამშობლო, რომელიც კვერნაქის ძირში წევს, ის მამული იქცა იმად, რაც აქ ტრიალებს, იმ რეალობად, სადაც ადამიანი თავის კანონზომიერ გზას სცდება, ცდილობს აიჭრას იქ, სადაც მისი ადგილი არაა, იმიტომ, რომ მისი ადგილი საერთოდაც აღარსად არაა, მისი — ადამიანის — თავის დროის და ქვეყნის შვილის, კვერნაქის მთაზე ღირსეულად ამსვლელის.

**ინგა მილორავა**

---

## საქართველო მსოფლიო გიდების ასოციაციების კონგრესს უმასპინძლებს

**ირანში გამართულ ტურისტული გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის მე-17 კონვენციაზე, საქართველო 2019 წელს დაგეგმილი კონგრესის მასპინძელ ქვეყნად აირჩიეს. საქართველოს კონკურენციას უწევდნენ ტაილანდისა და ნიუ-იორკის გიდების ასოციაციები, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის დელეგატებს შორის, საქართველოს კანდიდატურამ ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა და კენჭისყრის შედეგად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა.**



საქართველოს გიდების ასოციაციის ხელმძღვანელის ქეთევანის მელაძის განცხადებით, **„ეს არის პირველი პრეცედენტი ტურიზმის სფეროში, როდესაც მსგავსი მასშტაბის ღონისძიების მასპინძელი ხმის მიცემის სისტემით შეირჩა და სასიხარულოა, რომ გამარჯვება საქართველომ მოიპოვა".**ირანში გამართულ კონგრესს 70 ქვეყნის დელეგაცია ესწრებოდა, ხმის მიცემის უფლება კი 34 მათგანს ჰქონდა. კონგრესს 275 სტუმარი დაესწრო, მათ შორის ირანის პრეზიდენტი ჰასან როუჰანი და გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალური მდივანი ტალებ რიფაი. კონგრესში, რომელიც საქართველოში ჩატარდება, მონაწილეობას მიიღებს 300-დან 500-მდე დელეგატი 70 ქვეყნიდან — ძირითადად სხვადასხვა ქვეყნის გიდების ასოციაციების ხელმძღვანელი.

2019 წელს დაგეგმილი კონგრესის მასპინძელ ქვეყნად საქართველოს კანდიდატურა გიდების ასოციაციამ ირანში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით წარადგინა.

(მეხუთე გვერდიდან) შეთანხმების ფარგლებში საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, სურსათის უვნებლობის აქაური სისტემა ეტაპობრივად ევროკავშირის სტანდარტებს დაუახლოოს. საუბარია, კერძოდ, სანიტარიულ და ფიტოსანიტარიულ ზომებზე, ვაჭრობაში ტექნიკურ ბარიერებზე, სახელმწიფო შესყიდვებზე, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობაზე (ელექტრონული კომუნიკაცია, ფინანსური მომსახურება, ტრანსპორტი, ფოსტა და საკურიერო მომსახურება).

„ეს ეტაპობრივად მოხდება – ამისათვის 13-წლიანი გარდამავალი პერიოდი გვაქვს აღებული. ეს – იმისთვის, რომ ახალი რეგულაციები ეტაპობრივად შემოვიტანოთ და ფერმერებიც მათ უფრო მარტივად მოერგონ. ერთბაშად რომ ავამოქმედოთ ევროკავშირის ყველა რეგულაცია, ეს, ალბათ, ჩვენს ფერმერულ მეურნეობას დაანგრევს“, – განმარტავს მარიამ გაბუნიამ.

## რატომ – ევროპული ბაზარი?

**რაც შეეხება იმას, თუ რატომ უნდა გააკეთოს მეწარმემ არჩევანი რუსულ და ევროპულ ბაზრებს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, როდესაც ბიზნესზე, მეწარმეობასა და სოლიდურ ლეგალურ შემოსავლებზე ვსაუბრობთ, თვალი ყველას ევროკავშირის ბაზრისკენ გაურბის. 20-ტრილიონიან (წლიური ბრუნვა) ბაზარზე დამკვიდრება ყველას ოცნებაა. ევროკავშირის 28 ქვეყანა 500 მილიონზე მეტი მომხმარებლით მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ბაზარია. სხვა ბაზრებთან შედარებით, მისი უპირატესობებია: სტაბილურობა; თამაშის გამჭვირვალე წესები; დისტრიბუციის გამართული ქსელი; მზარდი ფასები და მოთხოვნა ნატურალურ და ხარისხიან პროდუქტებზე; მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე მომხმარებელი.**

„საქართველოს რუსულ ბაზარზე დამოკიდებულების ძალიან ცუდი გამოცდილება აქვს. 2005 წელს რუსეთმა თავისი ბაზარი ჩაკეტა, ჩვენი სასურსათო-სამეურნეო სექტორი, განსაკუთრებით ღვინის წარმოება, რომელიც მთლიანად იყო მიბმული რუსულ ბაზარს, ძალიან მძიმე პირობებში აღმოჩნდა. ზოგიერთი კომპანია საერთოდ გაკოტრდა. შესაბამისად, რუსეთის ბაზარი ძალიან არაპროგნოზირებადია. ნებისმიერ მომენტში, რაღაც პოლიტიკური გადაწყვეტილებით მათ შეიძლება, დაკეტონ წვდომა. ხვალ შეიძლება, გამოაცხადონ, რომ აღარ უშვებენ ქართულ პროდუქციას“, – განაცხადა გაბუნიამ.

არავინ დავობს იმაზე, რომ ალტერნატიული ბაზრების მოძიების პარალელურად, რუსული ბაზარი წარმოებისთვის არ უნდა დაიკარგოს. ბაზრების დივერსიფიკაცია საქართველოს ეკონომიკისთვის დიდი გამოწვევაა. ამ კონტექსტში ადგილობრივმა მეწარმემ უნდა იცოდეს, რომ ევროპელი მომხმარებელი ყოველთვიურად სურსათის შესაძენად სამჯერ მეტს ხარჯავს, ვიდრე რუსეთის მოქალაქე; რუსეთის ბაზრებზე ნისიების სისტემა არსებობს და მეწარმე ვერ იქნება დარწმუნებული, პროდუქციის რეალიზების შემდეგ თანხას მიიღებს თუ არა; პოლიციასთან და კრიმინალურ წრეებთან კორუფციული გარიგების გარეშე მოცულობითი პროდუქციის რუსულ ბაზარზე შეტანა პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

ამის საპირწონედ ევროკავშირის ბაზარზე ყველაფერი გამჭირვალედ და კანონის ფარგლებში ხორციელდება. რაც მთავარია, მეტი სარგებლის მიღების პერსპექტივაა, რადგან მაღალანაზღაურებად ევროპელებს ხარისხიანი პროდუქტების მაღალ ფასად შესყიდვა უპრობლემოდ შეუძლიათ. ევროკავშირის ბაზრის კიდევ ერთი უპირატესობა ნატურალურ პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდაა. ვინაიდან საქართველო ინდუსტრიული ქვეყანა არ არის და განსაკუთრებული კლიმატური პირობებით გამოირჩევა, ჩვენთან ბიო და ნატურალური პროდუქტების წარმოების ნიშა არსებობს, მოთხოვნიდან გამომდინარე კი, ეს პროდუქცია ევროპაში ძვირად ფასობს.

## მითები

დაბოლოს, კიდევ ერთხელ – იმ მითების შესახებ, რომელიც ევროკავშირთან ასოცირების შესახებ ვრცელდებოდა და ნაწილობრივ დღემდე ძალაში რჩება:



თბილისი, სოხუმი(?), ცხინვალი(?) – ევროინტეგრაცია:

# მითები, ვალდებულებები და სინამდვილე

### მითი 1: „ასოცირების შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას დააზარალებს!“

რეალობა: ევროკავშირთან შეღავათიანი სავაჭრო შეთანხმებების ყველა პარტნიორმა ქვეყანამ (სამხრეთ აფრიკა, მექსიკა, ჩილე, მაროკო, და ა.შ.) მიიღო სარგებელი ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის გაფართოებით და ამ ქვეყნების ვაჭრობის ზრდის მაჩვენებელმა საშუალო გრძელვადიან პერიოდში ორნიშნა ნიშნულს მიაღწია.

კვლევის თანახმად, ასოცირების შეთანხმების განხორციელება ხელს შეუწყობს საქართველოს მშპ-ის დამატებით 4.3%-ით ზრდას. შეთანხმება საქართველოს ეკონომიკას მისცემს შესაძლებლობას, წამოეწიოს ევროკავშირს კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით და ამის შედეგად დროთა განმავლობაში დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო ეკონომიკაში. ეს შექმნის ახალ შესაძლებლობებს არა მარტო ევროკავშირსა და საქართველოს შორის, არამედ ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების მსოფლიო მასშტაბით აღიარების წყალობით მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან საქართველოს ვაჭრობაშიც.

აღნიშნული სტანდარტების დაკმაყოფილება ქართველ მომხმარებლებს ბევრად დიდი არჩევანით უზრუნველყოფს, განაპირობებს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას და საქართველოს უცხოელი ინვესტორებისათვის უფრო მიმზიდველად აქცევს.

საგულისხმოა, რომ დღესაც ქართული ექსპორტის 20% ევროკავშირის ქვეყნებში ხორციელდება, რაც მეტყველებს ქართული კომპანიების უნარზე, ადაპტირება მოახდინონ ევროკავშირის სტანდარტებთან და განახორციელონ ექსპორტი.

ევროკავშირის ბაზარი მსოფლიოში უდიდესია, დაახლოებით 500 მლნ. მაღალი მსყიდველობითუნარიანი მოსახლეობით. ამდენად, ნათელია, რომ ასოცირების შეთანხმებით საქართველო გაცილებით მეტ სარგებელს მიიღებს, ვიდრე თავად ევროკავშირი.

### მითი 2: „საქართველო ევროპულ ბაზარზე გასვლას ვერ შეძლებს!“

ამ მითის თანახმად, ქართული კომპანიები ვერ დააკმაყოფილებენ ევროკავშირის სტანდარტებსა და რეგულაციებს, შესაბამისად, გართულდება ევროკავშირში ექსპორტის განხორციელება. ამავდროულად, ადგილობრივი კომპანიები შიდა ბაზარზე ვერ გაუწევენ კონკურენციას ევროპულს.

სინამდვილე ასეთია: ევროკავშირის რეგულაციებთან დაახლოება განხორციელდება თანმიმდევრულად, რამდენიმე წლის განმავლობაში. ასოცირების შესახებ შეთანხმების რეალიზების პროცესში საქართველო დანერგავს ევროკავშირის სტანდარტებს, რაც საშუალებას მისცემთ ქართულ კერძო კომპანიებს, აწარმოონ მაღალი ხარისხის პროდუქცია, ეს კი დამატებითი ფაქტორი გახდება დარგობრივი ინვესტიციების მოსაზიდად და მსოფლიო ბაზარზე ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად;

### მითი 3. „ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის დაწესება საქართველოდან მოსახლეობის გადინებას გამოიწვევს!“

ამ მითის თანახმად, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და უვიზო მიმოსვლა გამოიწვევს საქართველოდან შრომითი რესურსების, მათ შორის, კვალიფიციური მუშახელის ევროკავშირის ქვეყნებში გადინებას.

რეალურად, ასოცირების შესახებ შეთანხმების არც ერთი დებულება, რომელიც გარკვეულწილად კავშირშია ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების გადაადგილებასთან, არ ითვალისწინებს ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ძალაში 2011 წლის მარტიდან შევიდა, ამარტივებს ვიზის მიღების პროცესს გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისთვის და არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების დასაქმებასთან.

ამასთან ერთად, უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა იძლევა ევროკავშირის ქვეყნებში ვიზის გარეშე (სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების, მათ შორის, ბიომეტრიული პასპორტები) მხოლოდ მოგზაურობისა და არა მუდმივი ბინადრობისა და დასაქმების შესაძლებლობებს.

### მითი 4: „ასოცირების შეთანხმება მოახდენს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების დისკრიმინაციას!“

ამ მითის თანახმად, შეთანხმებამ შეიძლება, გამოიწვიოს საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების იზოლირება და მიგვიყვანოს სეპარატიზმისკენ მიმართულ მცდელობებთან.

სინამდვილეში, ასოცირების შეთანხმება აქტიურად უჭერს მხარს დისკრიმინაციის არარსებობას და მაქსიმალურად უწყობს ხელს უმცირესობათა დაცვას. იგი აღიარებს უმცირესობების მნიშვნელოვან როლს ეროვნული ერთიანობის გრძნობის გაღრმავების საქმეში. საქართველოში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის ცხოვრების დონის ამაღლების წყალობით ასოცირების შესახებ შეთანხმება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ეროვნულ ერთიანობაში.

### მითი 5: „ასოცირების შესახებ შეთანხმება გაართულებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას!“

შეთანხმება არანაირად არ აქეზებს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ. პირიქით, ის მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სტაბილურობას და თანამშრომლობას რეგიონში.

მეტიც, ასოცირების შესახებ შეთანხმებამ შეიძლება, ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებასაც. არსებობს საფუძვლიანი იმედი, რომ დროთა განმავლობაში ასოცირების შესახებ შეთანხმების უპირატესობით სარგებლობას აფხაზები და ოსები შეძლებენ.

### მითი 6: „ასოცირების შეთანხმების გამო საქართველო რუსეთში პროდუქციის ექსპორტს ვერ შეძლებს!“

ამ მითის თანახმად, ევროპული სტანდარტების მიღების გამო საქართველოს ტრადიციულ ექსპორტს რუსეთში ძირი გამოეთხრება.

სინამდვილეში, ევროკავშირის სტანდარტები არასოდეს ყოფილა რუსეთში ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ექსპორტის წარმოების ხელისშემშლელი ფაქტორი, როგორც ამას საკმარისად ადასტურებს ევროკავშირის კომპანიების და იმ სხვა მწარმოებლების გამოცდილება, რომლებიც ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებს იცავენ. ამიტომ არ არსებობს ობიექტური მიზეზი იმისა, რომ ევროკავშირის სტანდარტებმა ქართული კომპანიებისთვის წარმოქმნას პრობლემები.

იმ ქართულ კომპანიებს, რომლებიც უკვე ახდენენ პროდუქციის ექსპორტირებას რუსულ ბაზარზე, შეუძლიათ, განაგრძონ ეს საქმიანობა, მას შემდეგაც კი, რაც განხორციელდება ასოცირების შესახებ შეთანხმება – თუ მათ ამაში პოლიტიკურად მოტივირებული აკრძალვები და შეზღუდვები არ შეუშლის ხელს.

### მითი 7: „ასოცირების შეთანხმება ხაზს გადაუსვამს საქართველოს სწრაფვას, აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა!“

ამ მითის თანახმად, ევროკავშირში გაწევრიანების სურვილის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე უარის თქმა მოუწევს.

რეალურად, ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების შემდეგ საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანებაზე განაცხადის გაკეთება არ უკავშირდება აფხაზებთან და ოსებთან შერიგებაზე უარის თქმას.

ასოცირების შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ ევროკავშირი პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის უფრო აქტიურ ჩართულობას კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში.

ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელებისა და ევროკავშირში გაწევრიანებაზე საქართველოს მიერ სურვილის გაცხადების შემთხვევაში არ არსებობს არანაირი საფუძველი იმისა, რომ ევროკავშირმა შეცვალოს ზემოაღნიშნული დამოკიდებულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და, შესაბამისად, გაწევრიანების სანაცვლოდ საქართველოს ამაზე უარის თქმა მოუწიოს.

უკვე დღეს ევროკავშირი თავმჯდომარეობს ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებს, რომლის მონაწილეები ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებასა და, უსაფრთხოების გაზრდაზე მუშაობენ.

უკვე დღეს ევროკავშირის მონიტორინგის მისია ეხმარება საქართველოს, შეინარჩუნოს სტაბილურობა და თავიდან აიცილოს ინციდენტები ადმინისტრაციული ხაზის გასწვრივ, რაც მიმდებარე რაიონებში მცხოვრები ადამიანებისთვის უფრო მშვიდობიან ცხოვრებას უზრუნველყოფს.

უკვე დღეს ევროკავშირი ჩართულია საქართველოს რეგიონების – აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ნდობის აღდგენაში, რაც კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების აუცილებელი პირობაა.

ასოცირების შესახებ შეთანხმება წვლილს შეიტანს ადამიანის უფლებების უკეთ დაცვაში, საქართველოში უფრო ღრმა დემოკრატიისა და მეტი კეთილდღეობის დამკვიდრებაში. გათვალისწინებულია, რომ ეს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას შეუწყობს ხელს და საქართველოს უფრო მიმზიდველს გახდის აფხაზური და ოსური საზოგადოებებისთვის.

**ახალი ამბების სააგენტო „აქცენტი“**




# ვის სურს თავისი მიზნებისთვის საქართველოს გამოყენება?

**„აშშ-სა და თურქეთს შორის „დაზიანებული ხიდების გამრთელების“ პოლიტიკის კონტექსტში, რომელსაც თეთრი სახლის ახალი ადმინისტრაცია მიმართავს, აზერბაიჯან-თურქეთ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო საექსპერტო საზოგადოებაში სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს“,** — წერს აზერბაიჯანის რუსულენოვანი გაზეთი „ნოვოე ვრემია“.

**გთავაზობთ პუბლიკაციის მოკლე შინაარს:**

როგორც უკვე ცნობილია, მიმდინარე წლის აპრილში დაგეგმილია სამი მოსაზღვრე სახელმწიფოს თავდაცვის მინისტრების სამიტი, რომელიც თბილისში უნდა გაიმართოს. ერთი შეხედვით, თითქოსდა ამ შეხვედრაში რაიმე ექსტრაორდინარული არაფერი არ უნდა იყოს, მსგავსი სამიტები ადრეც ბევრჯერ გამართულა, მაგრამ დაგეგმილი მოლაპარაკებები წინა წლების შეხვედრებისაგან მაინც განსხვავდება: მათ სრულიად ახალი რეალობის კუთხით უნდა შევხედოთ — იმ რეალობისა, რომელიც ამერიკის ხელისუფლებაში დონალდ ტრამპის მოსვლით დადგა. ცხადია, ჩვენთვის ძალიან კარგი იქნება, თუ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობა კავკასიის უსაფრთხოებაზე ნეგატიურ გავლენას არ მოახდენს.

რა დასამალია და აშშ-ისა და თურქეთის ურთიერთობის გაუმჯობესება ასე თუ ისე აზერბაიჯანსაც და საქართველოსაც შეეხება, ანუ ვაშინგტონ-ანკარის პოლიტიკური დაახლოება, თურქეთში და შესაძლოა, საქართველოშიც, აშშ-ის სამხედრო და გეოპოლიტიკური ყოფნის გაძლიერებას გამოიწვევს, რომელიც ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში სულ უფრო სუსტდებოდა, განსაკუთრებით 2016 წლის ივლისში თურქეთში მომხდარი გადატრიალების მცდელობის შემდეგ.

ბევრს ეგონა, რომ დონალდ ტრამპის ანტინატოურ განცხადებებს საბოლოო ჯამში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დაშლა თუ არა, ბლოკის დასუსტება მაინც მოჰყვებოდა, მაგრამ ბრიუსელში ამას წინათ გამართულმა ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების სამიტმა ცხადყო, რომ „როგორც ქუხს, ისე არ წვიმს“ — ნატოს მიზნები და ამოცანები იგივე რჩება, ხოლო აშშ მომავალშიც იქნება ჩრდილოატლანტიკური უსაფრთხოების დაცვის გარანტი. მინისტრების ერთობლივი განცხადებაც ამას ადასტურებს.

მაინც როგორ შეიძლება შევხედოთ ნატო-თურქეთის დაახლოებას აზერბაიჯან-თურქეთ-საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის კონტექსტში? საინტერესოა ისიც, თუ რატომ მიიწვიეს ნატოს თავდაცვის მინისტრების სამიტზე საქართველოს სამხედრო უწყების მეთაური? სხვათა შორის, იმ ქვეყნის ერთადერთი მინისტრი, რომელიც ნატოს წევრი არ არის. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ სამომავლოდ ალიანსს სურს, თავისი გეოპოლიტიკური მიზნებისათვის საქართველო გამოიყენოს. ამას ადასტურებს ისიც, რომ საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრი განთავსდება — ისეთი, როგორიც გერმანიაშია.

აშკარაა, რომ ნატოში აშშ კვლავ მთავარ როლს შეასრულებს. თეთრი სახლი და პენტაგონი გეგმებს ადგენენ, რათა თავიანთ თამაშებში საქართველო სულ უფრო მეტად ჩართონ. გარდა ამისა, საყურადღებო ფაქტია, რომ ორიოდე დღის წინათ ბაქოში აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტატების უფროსი ჯოზეფ დანფორდი იმყოფებოდა, რომელმაც მოლაპარაკება გამართა აზერბაიჯანელ სამხედროებთან, განიხილეს კასპიის პრობლემატიკაც. ამიტომაც ისმება კითხვა: როგორ გავლენას მოახდენს ვაშინგტონი ანკარა-ბაქო-თბილისის სამხედრო ღერძზე?

თურქეთი და საქართველო აშშ-ისა და ნატოს მოკავშირეები არიან, აზერბაიჯანი კი, ერთი მხრივ, პოტენციური პარტნიორიცაა და, მეორე მხრივ, ბაქო-თბილის-ანკარის ბლოკის წევრი. აქედან გამომდინარე, დამატებითი კითხვა: როგორ რეაგირებას მოახდენს კრემლი აშშ-ისა და ნატოს სავარაუდო ყოფნაზე აზერბაიჯანში?

გვინდა, გვჯეროდეს, რომ ამ გეოპოლიტიკურ მორევში სავარაუდო მონაწილეობით აზერბაიჯანი მხოლოდ ეროვნულ ინტერესებს დაიცავს. ნატოელების მიერ დაწყებული თამაშები „თავისი შესაძლო მინუსებით“ ხომ ყველას შეეხება, მათ შორის აზერბაიჯანსაც? ჰოდა, სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და სავარაუდო საფრთხეები ადეკვატურად უნდა შევაფასოთ.

**აკბერ მამედოვი,**
**„novoye-vremya“(აზერბაიჯანი)**
**ნიუპრესი**




## იანვარში საგარეო სავაჭრო ბრუნვა 22 პროცენტით გაიზარდა

**2017 წლის იანვარში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 651 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22 პროცენტით მეტია;** აქედან ექსპორტი 177 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (45 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 474 მლნ. აშშ დოლარს (15 პროცენტით მეტი). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წლის იანვარში 297 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 46 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 143 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 47 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

## 2030 წლისთვის მსოფლიოში მოგზაურთა რაოდენობა 1,8 მლრდ-ს მიაღწევს

**ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ განცხადება სტამბოლში გამართულ საერთაშორისო ტურიზმის ფორუმზე UNWTO-ს ელჩმა მაიკლ ფრენზელმა გააკეთა.**

მისი განცხადებით, 2016 წელს მსოფლიოში ტურისტების რაოდენობამ 1,235 მლრდ შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებლებზე 4%-ით მეტია.

„2030 წლისთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 1,8 მლრდ ტურისტს მიაღწევს“ — განაცხადა ფრენზელმა.

მისი ინფორმაციით, გლობალურ მშპ-ში ტურიზმის წილი 9,8%-ია.

### ნეთანიაჰუ ვაშინგტონში ვიზიტით კმაყოფილია

**ბენიამინ ნეთანიაჰუ ირწმუნება, რომ ამერიკისა და ისრაელის ურთიერთობის ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. ამის შესახებ ვაშინგტონიდან დაბრუნებულმა ისრაელის პრემიერმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**„ისრაელსა და შეერთებულ შტატებს შორის ყოველთვის მჭიდრო ურთიერთობა იყო, დღეს კი ის უფრო მჭიდრო ხდება. ბატონმა ტრამპმა შეხვედრის დასრულებისას ხელი გამომიწოდა და მითხრა, რომ ჩვენს ურთიერთობაში ახალი დღე იწყება. მინდა, გითხრათ, რომ ეს ნამდვილად ასეა და ეს ძალიან კარგი დღე იქნება,“ — აღნიშნა ნეთანიაჰუმ.**

### ჯოლიმ პიტთან დაშორებაზე პირველი კომენტარი გააკეთა

**„ეს, რა თქმა უნდა, რთული იყო. ბევრი ადამიანი ხვდება ასეთ სიტუაციაში. ჩემმა ოჯახმაც გაიარა ეს რთული პერიოდი. ახლა მთელი ჩემი ყურადღება ბავშვებზეა კონცენტრირებული. ჩვენ ოჯახი ვართ და ეს მეხმარება ამ ყველაფრის გადატანაში. მე ამ ყველაფერს ვუმკლავდები,“ — განაცხადა მსახიობმა კამბოჯაში საკუთარი ფილმის პრემიერის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.**



### დონბასში ზავის რეჟიმი ამოქმედდება

**დონბასში ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი უნდა ამოქმედდეს. ამის შესახებ მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე ნორმანდიული ოთხეული შეთანხმდა. გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და უკრაინის წარმომადგენლები მინსკის მოლაპარაკებების განახლების თარიღზეც შეთანხმდნენ. შეხვედრა ბელარუსის დედაქალაქში 1 მარტს გაიმართება.**

### სომალიში ტერაქტს 34 ადამიანი ემსხვერპლა



**სომალიში ტერაქტის შედეგად დაღუპულთა რაოდენობა იზრდება. ბოლო მონაცემებით, მოგადიშოში აფეთქებას 34 ადამიანი ემსხვერპლა, 50-მდე კი დაშავდა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ ადგილობრივ რადიკალურ დაჯგუფებას არ აუღია.**

### ბელარუსში მუქთახორობის გადასახადს აპროტესტებენ

**ბელარუსში საპროტესტო აქციები გრძელდება. მოსახლეობა ე.წ. „მუქთახორობის გადასახადს“ აპროტესტებს, რომელიც დაუსაქმებლებს ეკისრებათ. ამჯერად ხალხმრავალი აქცია ქვეყნის სიდიდით მეორე ქალაქ გომელში გაიმართა. „მე მუქთახორა არ ვარ!“ „ლუკაშენკო, წადი!“ ამ შინაარსის პლაკატებით ქუჩებში 1500-ზე მეტი ადამიანი გამოვიდა. აქციები მოეწყო მოგილევსა და ვიტებსკშიც. ლუკაშენკოს მიერ 2 წლის წინათ გაცემული განკარგულებით, იმ პირებს, რომლებიც დასაქმებულნი არ არიან, სახელმწიფო ხაზინაში ყოველწლიურად 200 დოლარის შეტანა ევალებათ.**



# რაზე მიუთითებს შეუთანხმებლობა საპატრიარქოსა და ხელისუფლებას შორის?

## ინტერვიუ თეოლოგ ლევან აბაშიძესთან



*თეოლოგი ლევან აბაშიძე საპატრიარქოში და ეკლესიის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს. აბაშიძის თქმით, დეკანოზ მამა გიორგი მამალაძის დაკავება და ის პროცესები რომელიც ამ საქმის ირგვლივ ვითარდება, ხელისუფლების მხრიდან დაგეგმილს ნაკლებად ჰგავს.*

*მისი აზრით, მაშინ პროკურატურისა და მთავრობის მაღალი თანამდებობის პირების განცხადებები ასეთი არათანმიმდევრული არ უნდა ყოფილიყო. თეოლოგის აზრით, რთულია იმის პროგნოზირება, სინამდვილეში საპატრიარქოში რა ხდება — ეს არის პირადი დაპირისპირება, რომელიც ძალიან დიდ პოპულიზმში გადაიზარდა თუ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომლის დამალვაც დიდი ხანი ვერ მოხერხდება.*

**„მეტრონომი“:** როგორ ფიქრობთ, საპატრიარქოში მიმდინარე სიტუაცია და მაღალი სასულიერო იერარქიის მქონე პირების ურთიერთბრალდებები, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საპატრიარქო ტახტისთვის სერიოზული ბრძოლა მიმდინარეობს?

**ლევან აბაშიძე:** ამაზე, ალბათ უფრო ვარაუდების გამოთქმა შეიძლება და კონკრეტულად რაიმეზე საუბარი რთული იქნება. ის რაც საპატრიარქოს ირგვლივ ბოლო დღეებში დაიწყო, ვფიქრობ, მართლა რაღაც პროვოკაციაა და საქმე დიდ სიბოროტესთან გვაქვს. ეჭვი მეპარება, რომ ვიღაცა ვიღაცის მოწამვლას აპირებდა, ეს მართლა ძალიან არარეალური მგონია. პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა თუ სხვა კონკრეტული კერძო პირების პირადი დაპირისპირება იკვეთება, ძალიან რთული სათქმელია. ალბათ, ეს გარემოება თავს არ დამალავს და რეალობა მაინც ცნობილი გახდება.



**— თუმცა ფაქტია, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავების შემდეგ, საპატრიარქოში ურთიერთბრალდებები დაიწყო. გამოიკვეთა ორი ფლანგი, სადაც აქტიურ განცხადებებს მეუფე პეტრე და მეუფე იაკობი აკეთებენ. შეიძლება ითქვას, რომ საპატრიარქოში ორი ჯგუფი არსებობს რომელთა შორის დაპირისპირება მამალაძის დაკავების შემდეგ უფრო გამწვავდა?**

— ჯერჯერობით, რასაც მე ვხედავ, ყველაზე აქტიურ განცხადებებს და ბრალდებებს მეუფე პეტრე აკეთებს. ის ამბობს, რომ რაღაც ბნელი ძალები არსებობს, რომელსაც პატრიარქის მდივან-რეფერანტი უდგას სათავეში. თუმცა, ყველა დანარჩენი დუმილს ინარჩუნებს და ღიად რაიმე განცხადებებისგან თავს იკავებს.

ვფიქრობ, გარედან საუბრები და სპეკულაციები უფრო მეტია, ვიდრე თავად საპატრიარქოში. ამიტომაც, მხოლოდ ერთი მეუფის განცხადებები არ არის იმისთვის საკმარისი, რომ ვთქვათ საპატრიარქოში კონკრეტულად რა ხდება.

**— შესაძლებელია საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენები გარედან მართული იყოს? რამდენად სწორად მიგაჩნიათ პროკურატურის ჯერ ერთი განცხადება და შემდეგ მისი უარყოფა. ასევე მაღალი თანამდებობის პირების კომენტარები, რომ ქვეყანა დიდ უბედურებას გადაურჩა.**

— მე ვფიქრობ, ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები, რომელიც ხელისუფლების მხრიან გაკეთდა, იმას ნიშნავს, რომ საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენები კარგად დაგეგმილი პროვოკაცია არ ყოფილა.

მაშინ ასეთი შეუთანხმებლობა არ უნდა ყოფილიყო. კარგად დაგეგმილი რომ ყოფილიყო მაშინ შეთანხმებული განცხადებები უნდა გაეკეთებინათ. თუ მათ დაგეგმეს, მაშინ გამოდის, რომ ძალიან უხეიროდ დაუგეგმავთ. არა მგონია, რომ ხელისუფლების ინტერესებში საზოგადოების ღელვის გამოწვევა შედიოდეს.

პროკურატურის განცხადება და შემდეგ მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან გაკეთებული შეფასებები წინდაუხედაობა და ზედმეტის ლაპარაკი უფრო მგონია. ასეთი ოპერაციების დაგეგმვა ძალიან რთულია, რადგანაც მაშინ საქმეში ძალიან ბევრი ადამიანის მონაწილეობა უნდა მოხდეს, რაც თავის მხრივ, საიდუმლოს შენახვის ნაკლებ გარანტიებს იძლევა.

**— გამომდინარე იქიდან რომ ეკლესია ქვეყანაში ყველაზე ძლიერ ინსტიტუტს წარმოადგენს და საზოგადოებაზე საკმაოდ დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ხელისუფლებას მისი კონტროლის ცდუნება არ გაუჩნდება?**

— საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ყველა ხელისუფლება, ოპოზიცია, პოლიტიკური პარტია ცდილობს, რომ ეკლესიაში დასაყრდენი ჰყავდეს. რა თქმა უნდა, ხელისუფლებას მომხრე სასულიერო პირები ჰყავს, მაგრამ ამაში ახალი არაფერი არ არის. ეს ყველა ქვეყანაში ხდება. წინა ხელისუფლებაც და ახლანდელიც მიწებს და ქონებას გადასცემს, ცხადია, რომ ყველა პოლიტიკოსს საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვება სურს. ამიტომაც ეკლესია და სასულიერო პირები მომხრეების მოზიდვის თვალსაზრისით საუკეთესო საშუალებაა. ზოგიერთი ეპისკოპოსი ყოველთვის არის მკვეთრად ოპოზიციის მომხრე და მოწინააღმდეგე. პოლიტიკაში სასულიერო პირების აქტიურობა ახალი არ არის.

ახლა, სიტყვის თავისუფლებაა და სასულიერო პირს ვერ დავუშლით, ის ილაპარაკოს, რაც მას სურს. არ არის აუცილებელი, რომ მათ ხელი სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე მოაწერონ.

**— თქვენ კითხვებს არ გიჩენთ თუნდაც ის ბრალდებები, რომელიც მამა იაკობის მიმართ გაისმის? ბევრი იმასაც ამბობს, რომ მისი ბიოგრაფიიდან ათი წელი ამოღებულია და უცნობია, ამ პერიოდის განმავლობაში რას საქმიანობდა. რატომ ისმის მის მიმართ ასეთი ბრალდებები?**

— ვფიქრობ, თუ მეუფე იაკობს ხელისუფლებისგან რაღაც სიმპათიები აქვს, ამაში საგანგაშო არაფერია. გვახსოვს მამა იობი, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობით გამოირჩეოდა.

მართალია, ეკლესია ნეიტრალური უნდა იყოს და ის პოლიტიკურ ბრძოლაში არ უნდა ერეოდეს, თუმცა, ვერც ეკლესია ვერ მოექცევა იზოლაციაში და ეს ზეგავლენა იქნება. როგორც ჩანს, მეუფე იაკობი ფიქრობდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ანტიქრისტეს გზას ედგა და თავის მრევლს მოუწოდა, რომ ხმა ამ პარტიისთვის არ მიეცათ.

**— რას იტყვით ხელისუფლების მხრიდან ეკლესიის დაფინანსებაზე. ფიქრობთ თუ არა რომ მისი გადახედვა უნდა მოხდეს?**

— რა თქმა უნდა, საპატრიარქოს დაფინანსების გადახედვა უნდა მოხდეს. ამ თანხების ანგარიშგება უნდა ხდებოდეს. როგორ ხდება ამ ქონების მართვა, მართლა მიდის თუ არა იქ, სადაც უნდა მიდიოდეს? როგორც ვიცით ამ თანხების ყველაზე დიდი რაოდენობა განათლებაზე იხარჯება. თუმცა, კეთდება განცხადებები, რომ იქ მომუშავე პერსონალს საკმაოდ დაბალი ხელფასები აქვთ და არ შეეფერება იმ ხარჯებს, რაც საზოგადოებამ ვიცით.

**ესაუბრა**
**ელზა პაპოშვილი**

**მართალია, ეკლესია ნეიტრალური უნდა იყოს და ის პოლიტიკურ ბრძოლაში არ უნდა ერეოდეს, თუმცა, ვერც ეკლესია ვერ მოექცევა იზოლაციაში და ეს ზეგავლენა იქნება. როგორც ჩანს, მეუფე იაკობი ფიქრობდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ანტიქრისტეს გზას ედგა და თავის მრევლს მოუწოდა, რომ ხმა ამ პარტიისთვის არ მიეცათ.**

## ოჯახის თხოვნით, დეკანოზ გიორგი მამალაძეს ახალი ადვოკატი დაენიშნა

**მკვლელობის მომზადების მცდელობის ბრალდებით დაკავებულ დეკანოზ გიორგი მამალაძის უფლებებს გიორგი ფანცულაიასთან ერთად მიხეილ რამიშვილიც დაიცავს. რამიშვილს მამა გიორგის უფლებების დაცვის თხოვნით დეკანოზის ოჯახი დაუკავშირდა.**

ახალი ადვოკატი ბრალდებულს ჩაფიძის სახელობის კლინიკაში შეხვდა.

დეკანოზი გიორგი მამალაძე 2017 წლის 10 თებერვალს დააკავეს. საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, ის მკვლელობის მომზადების ფაქტზეა დაკავებული.



## მტკიცებულების სახით აღმოჩენილი ნატრიუმის ციანიდის ოდენობა საკმარისია მხოლოდ ერთი ადამიანის მოსაწამლად

**„დეკანოზის საქმეში მტკიცებულების სახით აღმოჩენილი ნატრიუმის ციანიდის ოდენობა საკმარისია მხოლოდ ერთი ადამიანის მოსაწამლად და არა რამდენიმესი, როგორც ამას მთავარი პროკურორის მოადგილე მამუკა ვასაძე ამბობს,“** — ამის შესახებ ჟურნალისტებს მამა გიორგი მამალაძის ადვოკატმა განუცხადა. ადვოკატების თქმით, ექსპერტიზა მტკიცებულებას სამხარაულის ეროვნულ ბიუროში ჩაუტარდა.

ამას გარდა, ბრალდებული სასულიერო პირის ადვოკატები ამბობენ, რომ საქმეში საუბარი არ არის სასულიერო პირის მკვლელობის მომზადების მცდელობაზე. დეკანოზის ადვოკატებმა მთავარ პროკურატურას გაუთქმელობის პირობის მოხსნის თხოვნით, წერილობით კიდევ ერთხელ მიმართეს.

## საუბარია შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებაზე



**დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატ მიხეილ რამიშვილის ინფორმაციით მამალაძის ბრალში საუბარია პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილის მკვლელობის მომზადებაზე.**

ჩაფიძის კლინიკაში მამა გიორგი მამალაძის მონახულების შემდეგ მან განაცხადა ასევე, რომ პატრიარქს არანაირი საშიშროება არ ემუქრებოდა. საქართველოში არანაირი უბედურება არ გვეწეოდა. საბრალდებო დასკვნაში მითითებულია, როგორც მამა გიორგიმ ბრძანა, მდივან-რეფერენტის მიმართ.

მისივე თქმით, ბარგი, რომელშიც თითქოსდა აღმოჩენილია ციანიდი, დაკავებიდან 6 საათსა და 40 წუთის შემდეგ მიიტანეს იქ, სადაც იყო მამა გიორგი მამალაძე.

◉ რაგბი ჩვენი თამაშია!

## კვირიკაშვილის მე-100 კეპი და „ბორჯღალოსანთა“ განავარდება რუსთავში



**საქართველო-გერმანია 50:6**

**ამ მატჩის შესახებ სალაპარაკო, ფაქტობრივად, არაფერია: მასპინძლებმა რუსთავში აშკარად დაჯაბნეს ალემანები და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 50:6, რასაც, ცხადია, საპრემიო ქულაც მოჰყვა. კვლავ შესანიშნავად ითამაშეს ახალგაზრდებმა. მათი გარჯით საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი კმაყოფილია. აქვე 34 წლის მერაბ კვირიკაშვილის ფენომენალური შედეგიც გვინდა გამოვყოთ: ის პირველი ქართველი მორაგბეა, რომელმაც საქართველოს ნაკრებში 100 კეპი მოიხვეჭა. მის ზურგს უკან ოთხი მსოფლიოს თასია. ამასთან, მერაბი საუკეთესო მექულეცაა - საქართველოს ნაკრებში მოპოვებული აქვს 785 ქულა: 14 ლელო, 140 გარდასახვა, 142 საჯარიმო და 3 არეკნი.**

ერთი საგულისხმო ფაქტიც: გერმანიასთან პაექრობა ახალი დამთავრებული იყო, როცა americasrugbynews.com-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „რაგბი ევროპამ“ ოფიციალურად მიმართა შპს „ექვს ერს“ პლეი ოფის სისტემის შემოღების შესახებ.

მატჩის შემდეგ

**კობუს პოთხიტერი,** გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „საქართველოს ნაკრები ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდია. არ შემიძლია რუმინეთის ნაკრებთან შედარება. მათთან თამაშში ყველაფერი გამოგვდიოდა, საქართველოსთან — არაფერი.“

**მილტონ ჰეიგი,** საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „იმთავითვე ვთქვით, რომ პირველ ორ მატჩში ბევრ ახალგაზრდას გამოვცდიდით. ზოგადად, კმაყოფილი ვარ მათი თამაშით. ნელ-ნელა ვაღწევთ იმას, რომ ისინი გამოცდილ მორაგბეებს კონკურენციას უწევენ.“

II ტური

რუმინეთი-ესპანეთი 13:3, ბელგია-რუსეთი 18:25.

**სატურნირო მდგომარეობა:** საქართველო — 10 (+69), რუმინეთი — 5 (+7), ესპანეთი — 4 (0), გერმანია — 4 (-41), რუსეთი — 4 (-3), ბელგია — 1 (-32).

III ტური

**4 მარტი.** ესპანეთი — საქართველო, რუსეთი — რუმინეთი, გერმანია — ბელგია.

**ლაშა დიდია**

◉ ჩოგბურთი

## ფინალში გზა მასპინძელმა გადაუღობა

**გასულ უქმეებზე მემფისში დამთავრდა ATP-ის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით ითამაშა საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ლიდერმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა. სტარტზე მან ჯორდან ტომპსონი (ავსტრალია, 63-ე) საათსა და 6 წუთში დაამარცხა - 6:3, 6:0 და წლეულს 10 იანვარს ბრისბენის ტურნირის პირველ წრეში წაგებისთვის (5:7, 2:6) რევანში აიღო. მეორე წრეში ქართველმა ჩოგბურთელმა გზიდან ჩამოიშორა ტურნირის რეიტინგ-ფავორიტი ივო კარლოვიჩი. მსოფლიო რეიტინგში მე-20 ადგილზე მყოფმა ხორვატმა 2015 წელს დოჰასა (7:6, 6:3) და კუალა-ლუმპურში სძლია (7:5, 4:6, 6:3) ბასილაშვილს, მემფისის ღია პირველობაზე კი ჩვენებურმა გაიმარჯვა — პირველი ხელი 7:6 მოიგო, მეორეში კი უფრო იოლად აჯობა მეტოქეს - 6:3.**

მეოთხედფინალში ბასილაშვილს დაუპირისპირდა მსოფლიო კლასიფიკაციით 490-ე ნომერი, ავსტრალიელი მეთიუ ებდენი. ჩვენებურს მასთანაც რევანში ჰქონდა ასაღები, რადგან მწვანე კონტინენტის წარმომადგენელმა 2015 წელს ტოკიოში ჰარდის კორტზე აჯობა ნიკას. მემფისის ტურნირის პირველ სეტში ავსტრალიელი 3:0 დაწინაურდა, მაგრამ ბასილაშვილმა ეს ხელი ტაი-ბრეიკზე მოიგო - 7:6, მეორე სეტში 6:4 გაიმარჯვა და წლეულს ზედიზედ მეორედ გავიდა ღია ტურნირის ნახევარფინალში, სადან ყაზახი მიხაილ კუკუშკინი (103-ე) ელოდა. 29 წლის აზიელმა ჩოგბურთელმა ქართველ მეტოქეს ღირსეული წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ სეტში გაუწია, თუმცა, ის მაინც დათმო - 6:7, მეორეში კი ქართველმა ჩოგბურთელმა იოლად მიაღწია წარმატებას - 6:1.

გადამწყვეტ პაექრობაში ამერიკელ რაიან ჰარისონთან (62-ე) ქართველი ჩოგბურთელი ვერაფერს გახდა - ორთაბრძოლა ორ სეტში დათმო - 1:6, 4:6 და



მეორე ადგილი დაიკავა, რისთვისაც სარეიტინგო 150 ქულა და საპრიზო 60.355 დოლარი გამოიმუშავა.

ამ კვირაში ნიკოლოზ ბასილაშვილი დელრეი ბიჩზე გადაინაცვლებს, სადაც ATP-ის კიდევ ერთ ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. პირველ წრეში დღეს იგი 38 წლის გერმანელ ვეტერან ჩოგბურთელ ტომი ჰაასს შეხვდება.

**ლექსო ცინცაძე**

◉ ძიუდო

## იზრდება ღირსეული ცვლა

**სხვადასხვა რეგიონის 280-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა ძიუდოს აკადემიაში გამართულ ჭაბუკთა საქართველოს ჩემპიონატში, ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ბოლო დროს ძიუდოს გეოგრაფია გაიზარდა და ნიჭიერი ფალავნები წამოვიდნენ ისეთი რაიონებიდანაც, სადაც ბოლო წლებში დათმეს პოზიციები, მაგალითად, თელავიდან, ზესტაფონიდან, აჭარიდან. ფინალური ტურნირის ზოგიერთ წონაში 32-ის ნაცვლად 35-39 მონაწილეც კი გამოდიოდა, ჭიდაობის ხარისხიც საკმაოდ კარგი იყო, რაც იმას ადასტურებს, რომ ქართულ ძიუდოს ნიჭიერი რეზერვი ეზრდება.**



დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: *გოგა ჩხაიძე (50 კგ), ლუკა კაპანაძე (55), არმაზ არჩუაძე (60), გიორგი ჩიხელიძე (66), ლევან ფსუტური (73), გოჩა ღვაჩლიანი (81), მიხეილ ბექაური (90), ალექსი სვიანაძე (+90).*

**თამაზ პატარიძე**

◉ ჭადრაკი

## მსოფლიოს ძაგნიძე შემორჩა



**ირანის დედაქალაქ თეირანში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ნოკაუტ-სისტემით. მესამე ეტაპზე ქართველმა დიდოსტატმა ნანა ძაგნიძემ ორ კლასიკურ პარტიაში 1.5:0.5 სძლია ჩინელ შენ იანს და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ინდოელ ჰარიკა დრონავალის შეხვდება. აზიელმა მოჭადრაკემ მესამე რაუნდში გზიდან ჩამოიშორა სოფიკო გურამიშვილი: მათი კლასიკური და 25-წუთიანი პარტიები ყაიმით დასრულდა. 10-წუთიან რაპიდში კი ჰარიკამ გაიმარჯვა 1.5:0.5.**

ჩემპიონატის მესამე ეტაპზე დამარცხდა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ნინო ხურციძე, რომელსაც ბულგარელმა მსოფლიოს და ევროპის ექს-ჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ აჯობა 1.5:0.5. დანარჩენი მერვედფინალური პაექრობები ასე დასრულდა: ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი)-ოლგა გირია (რუსეთი) 3.5:2.5, თან ჟონი (ჩინეთი)-რუთ რადმინი (ინდოეთი) 3.5:2.5, ლე ტაო ნგუენ პამი (ვიეტნამი)-ანა მუზიჩუკი (უკრაინა) 0:2, ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი)-პია კრამლინგი (შვედეთი) 4:2, ნი შიციუნი (ჩინეთი)-ნატალია პოგონინა (რუსეთი) 1.5:0.5. მეოთხედფინალში თამაშობენ: ცზიუ ვენძიუნი-თან ჟონი, ნანა ძაგნიძე-ჰარიკა დრონავალი, ანა მუზიჩუკი-ანტოანეტა სტეფანოვა, ალექსანდრა კოსტენიუკი-ნი შიციუნი.

**გივი გაგუა**

◉ კალათბურთი

## ისევ დასავლეთი!




**გუშინ გამთენიისას ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ყველა ვარსკვლავის მატჩი გაიმართა. ამ წარმოდგენას ნიუ ორლეანმა უმასპინძლა. დასავლეთ კონფერენციის ვარსკვლავებმა აღმოსავლეთ კონფერენციის საუკეთესო კალათბურთელები 192:182 დაამარცხეს. ნბა-ს „ოლ სტარების“ ისტორიაში ყველაზე მეტი — 374 ქულა ჩავარდა ჯამში, რაც რეკორდია. აქამდე საუკეთესო შედეგად 2016 წლის „ოლ სტარის“ შედეგი ითვლებოდა: 369 ქულა.**

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, მატჩი ერთის მხრივ მეტად სანახაობრივი გამოდგა, კალათბურთელებმა ბევრი ეფექტური მომენტი შემოგვთავაზეს, მაგრამ დაძაბულობის მხრივ არანაირი ინტრიგა არ ყოფილა, რადგან კალათბურთელები არანაირ დაცვას არ თამაშობდნენ.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ ენტონი დევისი დაასახელეს, რომელმაც გუნდს 52 ქულა, 10 მოხსნა და ორი ჩაჭრა შესძინა, დევისმა აღნიშნული ტიტული კარიერაში პირველად მოიპოვა.

კევინ დიურანტი კი მეოთხე კალათბურთელი გახდა, ვინც „ოლ სტარზე“ სამმაგი დუბლი შეასრულა (21 ქულა, 10 მოხსნა და 10 პასი). აქამდე მსგავსი შედეგი მხოლოდ მაიკლ ჯორდანს, ლებრონ ჯეიმსსა და დუეინ უეიდს ჰქონდათ ნაჩვენები.

ლებრონ ჯეიმსს „ოლ სტარზე“ ყველაზე მეტი — 314 ჩაგდებული ქულა დაუგროვდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ ინტერნეტიდან

## ცოლიც მას ჰყოლია...

**მადრიდის „რეალის“ ასაკშეპარული მცველის სერხიო რამოსის მეუღლე, მოდელი პილარ რუბიო ერთ-ერთმა ესპანურმა ბულვარულმა გამოცემამ პირენეებზე ბურთის მაგორებელი ფეხბურთელების ცოლთა შორის გამოარჩია და ყველაზე ლამაზ, მიმზიდველ და სექსუალურ ქალად დაასახელა.**

გამოცემამ ეს გადაწყვეტილება მკითხველების გამოკითხვის შედეგად მიიღო და სწორედ რიგითმა მკითხველებმა და ფეხბურთის ქომაგებმა აირჩიეს სერხიოს ცოლი. აღსანიშნავია, რომ პილარ რუბიოსათვის ეს პირველი დიდი და მნიშვნელოვანი წარმატებაა ფეხბურთელის ცოლის იმიჯით.

პილარ რუბიო პოდიუმზე უკვე 10 წელზე მეტია, რაც დგას და ამას წინათ დაიჩივლა კიდეც, დავიღალე მუდმივად ფორმაში ყოფნის შიშისა და რეჟიმში ცხოვრებით და მგონი დროა ბიკინები ლურსმანზე ჩამოვკიდოო. აბა, ყველა სერხიო რამოსი ხომ არ იქნება, დრო-ჟამს რომ არ ეპუებოდეს.

**როსტომ რაჭველიშვილი**



# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ვახტანგ მუჯირის, ნორა მკურნალიძის და ანზორ მიქელაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვახტანგ მუჯირი (პ/ნ 61001035101), ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. №6, ბინა №7;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №39/47, ბინა №24 (საკადასტრო კოდი: 05.28.02.001.01.024).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვახტანგ მუჯირი (პ/ნ 61001035101), ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. №6, ბინა №7;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №39/47, ბინა №24ა (საკადასტრო კოდი: 05.28.02.001.01.518).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნორა მკურნალიძე (პ/ნ 61001052273), ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №10, ბინა №17;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №10, ბინა №17ა (საკადასტრო კოდი: 05.22.12.023.01.017ა).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

4. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნორა მკურნალიძე (პ/ნ 61001052273), ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №10, ბინა №17;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №10, ბინა №17 (საკადასტრო კოდი: 05.22.12.023.01.017).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

5. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანზორ მიქელაძე (პ/ნ 61002002135), ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. №21, ბინა №52;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ბათუმი, ინასარიძის ქ. №18-21, ბინა №52 (საკადასტრო კოდი: 05.24.04.071.01.052).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

6. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანზორ მიქელაძე (პ/ნ 61002002135), ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. №21, ბინა №52;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ბათუმი, ინასარიძის ქ. №18 (ყოფ. №21), მანსარდა (საკადასტრო კოდი: 05.24.04.071.01.502).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

7. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 286163.37 ლარი.

8. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად.

9. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 7 მარტს, 17:15 საათი;

10. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

11. **მოვალე:** ვახტანგ მუჯირი (პ/ნ 61001035101), ბათუმი, ზ. გამსახურდიას ქ. №6, ბინა №7;

ნორა მკურნალიძე (პ/ნ 61001052273), ბათუმი, დ. თავდადებულის ქ. №10, ბინა №17.

12. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

13. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 7 მარტის 17:15 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს გიორგი გუდავაძის, შპს „ბლექსის“ და ენრიკო ღურჯიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ნივთებზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გუდავაძე (პ/ნ 42001005174), ქ. ფოთი, 26 მაისის ქ. №50;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ფოთი, ვიქტორ კრატასიუკის №17 (საკადასტრო კოდი: 04.01.03.240).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ბლექსი“ (ს/ნ 215080793), ფოთი, ფალიაშვილის ქ. №12;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ფოთი, ფალიაშვილის ქ. №12 (საკადასტრო კოდი: 04.01.02.641).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია შპს „ჯორჯია მეტალიქს ლიმიტედის“ სერვიტუტის უფლება შეუზღუდავი ვადით.

3. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ენრიკო ღურჯია (პ/ნ 42001007843), ქ. ფოთი, კოლხეთის ქ. №1;

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ფოთი, კოლხეთის ქ. №1 (საკადასტრო კოდი: 04.02.03.045).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

4. **უძრავი ნივთების საწყისი ფასი:** 117017.09 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ით დასაბეგრი ქონების (საკადასტრო კოდი: 04.01.02.641) თანხა შეადგენს 7459.72 ლარს).

5. **უძრავი ნივთების რეალიზაციის ფორმა:** უძრავი ნივთების რეალიზაცია ხორციელდება ერთ ლოტად;

6. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 7 მარტი, 17:00 საათი;

7. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

8. **მოვალე:** შპს „კუნძული“ (ს/ნ 215128038), ფოთი, ფალიაშვილის ქ. №12;

შპს „ლემი“ (ს/ნ 215123685), ფოთი, აღმაშენებლის 8/28;

შამილი ქვარცხავა (პ/ნ 42001000228), ფოთი, აღმაშენებლის 8/28;

ენრიკო ღურჯია (პ/ნ 42001007843), ქ. ფოთი, კოლხეთის ქ. №1.

9. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

10. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 7 მარტის 17:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

## სანთელი

**ეკა გიორბელიძე, იურა ჭოლოკავა, ჯემალ უგულავა, შალვა მგალობლიშვილი, დიმა ჯაიანი, ჟორა საღარაძე, გივი იოსელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ტრადიციების მატარებელი, ღირსეული პიროვნება**

### თენგიზ იაშვილი

**და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**უახლოესი მეგობრები ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ნადარეიშვილი, ნანა კეცხოველი, თამარ ხუციშვილი, ნათელა ლაღიძე, ვიოლა ჯაფარიძე, მადონა მგელაძე, ცისანა ჩიხლაძე, ეთერ თოფურია, დალი ბოჯგუა, ლამარა გაგუა თანაუგრძნობენ გულიკო დემურიას უსაზღვრო მწუხარებაში – საყვარელი შვილის**

### ვახტანგის

**გარდაცვალების გამო.**

---

**ლია ნადარეიშვილი ოჯახით უდიდესი გულისტკივილით თანაუგრძნობს გულიკო დემურიას თავს დატეხილ უბედურებაში – შვილის**

### ვახტანგის

**გარდაცვალების გამო.**

---

**რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს დამსახურებული არტისტის**

### ჟუჟუნა დუგლაძის

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება საქართველოს დამსახურებული არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის ყოფილი მსახიობის**

### ჟუჟუნა დუგლაძის

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ამირან რაზმაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ამირან რაზმაძე (პ/ნ 61001059868), ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**

ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15 (საკადასტრო კოდი: 05.10.08.024.01.500).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 38740.89 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 21 თებერვალი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 6 მარტი, 15:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP40895217;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 408952

6. **მოვალე:** ალექსანდრე რაზმაძე (პ/ნ 61003003094), ქ. ბათუმი, დიასამიძის ქ. №15.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP40895217; ლოტის ნომერი: 408952).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 3 მარტის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

# გილოცავთ!

## თამაზ შილაკაძე 85 წლისაა



ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ მთელი კოლექტივი გულითადად ვულოცავთ დაბადებიდან 85 წლის და შრომითი მოღვაწეობის 60 წლის იუბილეს ინსტიტუტის გენერალურ დირექტორს, ბატონ თამაზ შილაკაძეს და ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას თავის დიდ ოჯახთან ერთად. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტია, ინსტიტუტ „საქგზამეცნიერების“ უცვლელი ხელმძღვანელია, მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ახალგაზრდა სპეციალისტების მრავალი თაობა, რომელთაც გულითადად შეიყვარეს საგზაო საქმე. იგი საგზაო დარგის ერთადერთი თვალსაჩინო ვეტერანია, საქართველოს მეგზეველთა საზოგადოების თავმჯდომარე, ენერგიული და სიცოცხლის წყურვილით აღსავსე პიროვნებაა, იგი დღესაც დაუღალავად განაგრძობს სამეცნიერო მოღვაწეობასა და შრომით საქმიანობას საგზაო დარგისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ბატონო თამაზ იუბილეს და თქვენი ყურადღება არ მოკლებოდეს თქვენს მიერვე დაფუძნებული ინსტიტუტის კოლექტივს.

პატივისცემით
შპს „საქგზამეცნიერების“
თანამშრომლები

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი და ფონდის თანამშრომლები ვულოცავთ ფონდის თავმჯდომარეს, ბატონ **თამაზ შილაკაძეს** დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

# 70 წლის სიუზან სარანდონმა თაყვანისმცემლები გააოგნა



**ჰოლივუდის ვარსკვლავმა სიუზან სარანდონმა თავისი განცხადებით საზოგადოება შოკში ჩააგდო.**

როგორც აღმოჩნდა, მსახიობი ბისექსუალია. მას ქალები ისევე ხიბლავს, როგორც მამაკაცები. მიუხედავად ამისა, იგი მონაგამიის მომხრეა და ერთდროულად რამდენიმე ადამიანთან ურთიერთობა მისთვის მიუღებელია.

ამ სკანდალურ განცხადებასთან ერთად მან აღიარა წლების წინანდელი რომანი მსახიობ ფილიპ საიერთან, რომელიც ჰომოსექსუალი გახლდათ. „მე ერთადერთი ქალი ვიყავი მის ცხოვრებაში, ჩვენ ვმალავდით მის ორიენტაციას და გულწრფელად გვიყვარდა ერთმანეთი“, – აცხადებს 70 წლის ვარსკვლავი.

მსახიობის ბისექსუალობაში ეჭვი არასდროს შეუტანია, რადგან ცხოვრების განმავლობაში მას მხოლოდ მამაკაცებთან ჰქონდა ღია ურთიერთობები.

2015 წელს სარანდონი დაშორდა 37 წლის საყვარელს. მას ასევე ქალიშვილი და ორი ვაჟი ჰყავს სხვადასხვა ქორწინებიდან.

# მადონამ ნაშვილები ტყუპები სცენას ანაცვალა



**სულ ახლახან პოპ-მომღერალმა მადონამ მალავიიდან ტყუპი დები სტელა და ესტერი იშვილა. სწორედ მათ გამო ამბობს კარიერაზე უარს მომღერალი. ბავშვებს, რომელიც მძიმე პირობებში იზრდებოდნენ, სწორედ ახლა სჭირდებათ სითბო და სიყვარული.**

მომღერალს საკუთარ ქალ-ვაჟთან ერთად უკვე ჰყავს ორი ნაშვილები ბავშვი მერსი და დევიდი.

რა თქმა უნდა, სცენისთვის თავის დანებებას იგი სამუდამოდ არ აპირებს, მაგრამ ახლა მშობლის მზრუნველობა ყველაზე მეტად სჭირდებათ 4 წლის ტყუპებს, რომელთაც დედა მშობიარობიდან რამდენიმე დღეში დაეღუპათ.

# ზედმეტი ფულიც მავნე ყოფილა?!



**ინგლისის მცხოვრები 21 წლის გოგონა ჯეინ პარკსი „ზედმეტი ფულისგან იტანჯება“. მან 17 წლის ასაკში ეროვნულ ლატარიაში მოიგო 1, 25 მილიონი დოლარი და ამ თანხამ იგი ვერ გააბედნიერა.**

გოგონა არ იკლებს ძვირად ღირებულ ბრენდებსა თუ მანქანებს, მაგრამ მაინც ბედის უკმაყოფილოა, რადგან ღირსეული მამაკაცი ვერ იპოვა. „ყველა მამაკაცს აშინებს ჩემი ფული“, – აცხადებს „დატანჯული“ გოგო.

ინგლისელი ახალგაზრდა იმ ზომამდეა მისული, რომ ადვოკატი აიყვანა და აპირებს ეროვნულ ლატარიის სააგენტოს სასამართლოში უჩივლოს.

# 16 წლის გოგონა ვალის გამო გაიტაცეს



**იაკუტიაში მცხოვრებმა პარფიუმერიის გამყიდველმა ვალის გადაუხდელების გამო გოგონა გაიტაცა. მოზარდს ორი დღის განმავლობაში საკუთარ სახლში მალავდა გამტაცებელი. იგი მას თანხის გადახდას სთხოვდა.**

შემდეგ გოგონას მობილური ჩამოართვა და ფიზიკურადაც იძალადა. იგი მოზარდს აიძულებდა მშობლებისთვის დაერეკა და მათ თანხა მოეტანათ.

გოგონამ დედას შეატყობინა მომხდარის შესახებ, იგი კი პოლიციას დაუკავშირდა.

პარფიუმერიის გამყიდველი დააკავეს და მის წინააღმდეგ საქმე აღიძრა.

მოამზადა
რუსუდან ქობულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!


# როცა დაავადება უკან იხევს

**ცნობილი** სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი **ნანა მელია-პაიჭაძე** წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს ჰაიმორიტს და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მალამოებით 1. ძვალ-სახსროვან დაავადებებს: მარილებს, კისრის, მუხლ-სახსრის, მენჯ-ბარძაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთებას; 6. ფეხის ტერფის, ქუსლის ტკივილს.

ვისაც გსურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მალამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: *ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული.* ნანა მელია-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.


**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6429; ევრო - 2.8150;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2812;
100 რუბლი - 4.5453; თურქული ლირა - 0.7189;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4816;
1000 სომხური დრამი - 5.4280.

**ამინდი 21 თებერვლისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -8, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -12, | დღე +10 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე -1, | დღე +13 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -6, | დღე +10 |
| თბილისი: | ღამე -3, | დღე +14 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge